პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 62 (9530) | შაბათი, 14 მარტი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დაუცხრომლად განვამტკიცოთ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება

საბჭოთა ხალხი, ყველა ქვეყნის მშრომელები, მთელი პროგრესული კაცობრობა სიყვარულით და მოწიწებით წარმოთქვამენ ლენინის თანამებრძოლისა და მისი საქმის გენიალური განმგრძობის ამხანაგ სტალინის სახელს. მთელი თავისი ცხოვრება, მთელი თავისი მძლავრი გენია ამხანაგმა სტალინმა მოახმარა მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა განთავისუფლების საქმეს, გამანადგურებელი ომებისაგან კაცობრიობის გადარჩენის საქმეს, კომუნიზმისათვის ბრძოლის საქმეს.

ლენინთან ერთად სტალინმა შექმნა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო — მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ურყევი ბურჯი. ყველა ჩაგრულის, მთელი მშრომელი კაცობრიობის დასაყრდენი და იმედი.

„...ჩვენ უფლება გვაძვს ვიამაყოთ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — და ვამაყობთ იმით, რომ ფილად გვხვდა ბედნიერება დაგვეწყო ბაბჭოთა სახელმწიფოს შენება, ამით დაგვეწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა, ახალი კლასის გატონობის ეპოქა, კლასისა, რომელიც ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში დაჩაგრულია და ყველგან ვიდის ფინ ახალი ცხოვრებისაკენ, ბურჟუაზიაზე გამარჯვებისაკენ. პროლეტარიატის დიქტატურისაკენ, კაპიტალის უღლისაგან, იმპერიალისტური ომებისაგან კაცობრიობის გადარჩენისაკენ“.

ამხანაგი სტალინი დაუცხრომლად შრომობდა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის. ი. ბ. სტალინის, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა სახელმწიფომ განახორციელა უდიდესი ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნები. მოკლე ისტორიულ ვადებში საბჭოთა სახელმწიფომ შექმნა ყველაზე მოწინავე თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი პირველხარისხოვანი ინდუსტრია; საბჭოთა სახელმწიფო დაეხმარა გლეხებს მოეშორებინათ კულაკები, ვაჭრები და სავეკულანტები, განახორციელა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა, სოფლად შექმნა ახალი, საკოლმეურნეო წყობილება. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის სტალინური პოლიტიკის მეოხებით ჩვენმა სამშობლომ გიგანტური ნახტომი გააკეთა ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ, გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტურ სახელმწიფოდ.

ამხანაგ სტალინის, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა სახელმწიფომ წარმატებით შეასრულა სოციალიზმის აშენების მსოფლიო-ისტორიული ამოცანა. საბჭოთა სოციალისტური წყობილება, როგორც ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, მსოფლიოში ყველაზე მტკიცე, სიცოცხლისუნარიანი და მყარი წყობილებაა, საზოგადოების ორგანიზაციის საუკეთესო ფორმაა.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ ამხანაგი სტალინი თითქმის ოცდაათ წელს აშენებდა და განამტკიცებდა საბჭოთა სახელმწიფოს. მტკიცე ხელით წარმართავდა ჩვენს სახელმწიფო ხომალდს დიდი მიზნისაკენ, მიმავალი გზით. ყველა განსაცდელისაგან, მტრებთან ყოველი ახალი შეტაკებიდან საბჭოთა სახელმწიფო გამოდიოდა სულ უფრო მტკიცე და ძლიერი, გამოწრთობილი და უძლეველი. საბჭოთა სახელმწიფოს ამ უძლეველი ძალის წყარო ის არის, რომ იგი შექმნა ხალხმა და ხალხს ემსახურება.

„...საბჭოთა ხელისუფლება, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — არის სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ახალი ფორმა, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ძველი, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და პარლამენტური ფორმისაგან, არის სახელმწიფოს ახალი ტიპი, რომელიც შეფარდებულია არა მშრომელი მასების ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ამოცანებთან, არამედ ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან მათი სრული განთავისუფლების ამოცანებთან, პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანებთან“.

საბჭოთა სახელმწიფოს მთავარი საფუძველი მისი ძალისა და უძლეველობის წყაროა მუშებისა და გლეხების კავშირი. პროლეტარიატის დიქტატურა, გვასწავლიან ლენინი და სტალინი, არის მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განსაკუთრებული ფორმა, რომელშიც ხელმძღვანელი როლი ეკუთვნით მუშათა კლასს და მის კომუნისტურ პარტიას.

კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც, მთელი ძალღონით განამტკიცებს მუშებისა და გლეხების კავშირს, გადააქცია ეს კავშირი საბჭოთა საზოგადოების ურღვევ მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობად, რომელიც ჩვენი განვითარების მძლავრი მამოძრავებელი ძალა გახდა. ეყრდნობა რა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, ჩვენი სახელმწიფო წარმატებით წყვეტს კომუნიზმის მშენებლობის დიდებულ ამოცანებს.

ლენინისა და სტალინის მოძღვრების ერთგულ კომუნისტურ პარტიას თავის წმიდა მოვალეობად მიაჩნია კვლავაც დაუცხრომლად, მთელი ძალებით განამტკიცოს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი.

საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და უძლეველობის წყაროა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში პირველად ისტორიაში ხალხები-პარიები, ხალხები-მონები ამაღლდნენ ნამდვილად თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ხალხების მდგომარეობამდე, მიაღწიეს თავიანთი ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ნამდვილ აყვავებას. ამ საფუძველზე გაიზარდა და განმტკიცდა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა. აშენდა მძლავრი მრავალეროვანი სახელმწიფო.

ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპების ერთგული კომუნისტური პარტია იცავს და კვლავაც თვალისჩინივით დაიცავს სსრ კავშირის ხალხთა ერთიანობასა და მეგობრობას, განამტკიცებდა და კვლავაც განამტკიცებს საბჭოთა მრავალეროვან სახელმწიფოს.

საბჭოთა სახელმწიფო მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს ყველა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის ლენინურ-სტალინურ პოლიტიკას. ამასთანავე იგი ფხიზლად აღევნებს თვალყურს ახალი ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა ხრიკებს.

საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროების საიმედო ბურჯი და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში მძლავრი იარაღია საბჭოთა არმია და საბჭოთა სამხედრო საზღვაო ფლოტი. ამხანაგი სტალინი დაუცხრომლად ზრდიდა და განამტკიცებდა ჩვენი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს, მან შექმნა მოწინავე საბჭოთა სამხედრო მეცნიერება, შეიარაღა ჩვენი არმია მტერზე გამარჯვების ხელოვნებით. გენიალური მხედართმთავარის გენერალისიმუს სტალინის წინამძღოლობით საბჭოთა არმიამ უმაგალითო გმირობა გამოიჩინა დიდი სამამულო ომის დროს სამშობლოს დაცვის საქმეში, ევროპისა და აზიის ხალხები იხსნა ფაშისტური დამონების საფრთხისაგან.

ლენინისა და სტალინის ანდერძის ერთგული კომუნისტური პარტია განამტკიცებდა და კვლავაც განამტკიცებს ჩვენი სახელოვანი საბჭოთა არმიის საბრძოლო ძლიერებას, არმიისა, რომელსაც შეუძლია გამანადგურებელი პასუხი გასცეს ყოველ აგრესორს.

განაზოგადა რა სსრ კავშირში სახელმწიფო მშენებლობის გამოცდილება, ამხანაგმა სტალინმა შექმნა მთლიანი და დასრულებული მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ, გააკამტვერა კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში სახელმწიფოს კვდომის თეორია და დაამტკიცა, რომ სახელმწიფო უნდა დარჩეს კომუნიზმის დროსაც, თუ იმ დროისათვის კიდევ იქნება კაპიტალისტური გარემოცვა.

„...საბჭოთა მარქსისტები, — წერდა ამხანაგი სტალინი, — ჩვენს ხანაში მსოფლიო ვითარების შესწავლის საფუძველზე, მივიდნენ დასკვნამდე, რომ როცა არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, როცა სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა მხოლოდ ერთ ქვეყანაში, ყველა სხვა ქვეყანაში კი ბატონობს კაპიტალიზმი, გამარჯვებული რევოლუციის ქვეყანამ კი არ უნდა შეასუსტოს, არამედ ყოველმხრივ უნდა გააძლიეროს თავისი სახელმწიფო, სახელმწიფოს ორგანოები, დაზვერვის ორგანოები, არმია, თუ ამ ქვეყანას არ სურს, რომ იგი გაანადგურონ კაპიტალისტურმა გარემოცვამ“.

კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა კავშირი იმიტომ გადაქცია სოციალიზმის უძლეველ ციხესიმაგრედ, რომ იგი განუხრელად ხელმძღვანელობდა ამხანაგ სტალინის მითითებებით, ყოველი ღონისძიებით განამტკიცებდა სოციალისტურ სახელმწიფოს.

ჩვენს პარტიას თავის წმიდა მოვალეობად მიაჩნია კვლავაც დაუცხრომლად და ყოველი ღონისძიებით განამტკიცოს საბჭოთა სახელმწიფო — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ბურჯი, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების უმნიშვნელოვანესი პირობა. პარტია კომუნისტებსა და ყველა მშრომელს ზრდის მაღალი პოლიტიკური სიფხიზლის სულისკვეთებით, შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში შეურიგებლობისა და სიმტკიცის სულისკვეთებით.

საბჭოთა სახელმწიფო ინტერნაციონალურია თავისი ბუნებით. მის საშინაო პოლიტიკას, რომელსაც საფუძვლად უდევს მშრომელთა ძირეული ინტერესების დაცვა, ხალხთა მეგობრობა, და მის საგარეო პოლიტიკას, რომელიც ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკაა, დიდად თანაუგრძნობენ და მტკიცედ უჭერენ მხარს ყველა ქვეყნის მშრომელები. მთელი მსოფლიოს მუშები და გლეხები დაინტერესებული არიან იმით, რომ არსებობდეს და განმტკიცდეს საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც მათ უჩვენებს განთავისუფლების გზას.

საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და უძლეველობის წყაროა მარადიული მეგობრობა დიდ ჩინელ ხალხთან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, მთელი მსოფლიოს მშრომელთა თანაგრძნობა და მტკიცე მხარდაჭერა.

თავისი ძალებისადმი რწმენით, ლენინ — სტალინის დიადი საქმის სამართლიანობისადმი რწმენით გამსჭვალული, კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მჭიდროდ დარაზმული საბჭოთა ხალხი მტკიცედ მიდის წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

„პრავდის“ 13/III მოწინავე.

3. მ. მოლოტოვმა მიიღო თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

11 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია — თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი დ. აჩიკალინი, მე-3 არმიის სარდალი, კორპუსის გენერალი ფ. მონგიუჩი და პრეზიდენტის მთავარი ადიუტანტი პოდპოლკოვნიკი ნ. ალპკარტალი, — რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის დაკრძალვაზე ჩამოვიდა.

დ. აჩიკალინმა თურქეთის მთავრობის სახელით საბჭოთა მთავრობას გამოუცხადა სამძიმარი ი. ბ. სტალინის გარდაცვალების გამო.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. მ. პუშკინი და თურქეთის ელჩი სსრ კავშირში ფ. ხოზარი.

3. მ. მოლოტოვმა მიიღო ავღანეთის დელეგაცია

11 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ავღანეთის მეფის წარმომადგენელი — პრინცი მუჰამედ დაუდ ხანი და ავღანეთის მთავრობის წარმომადგენელი, ავღანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე — აბდულ ჰამიდ ხან აზიზი, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის დაკრძალვაზე ჩამოვიდნენ.

მუჰამედ დაუდ ხანმა ავღანეთის მეფისა და მთავრობის სახელით საბჭოთა მთავრობას გამოუცხადა სამძიმარი ი. ბ. სტალინის გარდაცვალების გამო.

მიღებას დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. მ. პუშკინი.

3. მ. მოლოტოვმა მიიღო ფინეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი უ. კეკონენი

11 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ფინეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი უ. კეკონენი, რომლის მეთაურობით მოსკოვს ჩამოვიდა ფინეთის რესპუბლიკის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის დაკრძალვაზე.

უ. კეკონენმა ფინეთის პრეზიდენტისა და მთავრობის სახელით საბჭოთა მთავრობას გამოუცხადა სამძიმარი ი. ბ. სტალინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის დესპანი ფინეთში ვ. ზ. ლებედევი და ფინეთის დესპანი სსრ კავშირში კ. სუნდსტრემი.

საბჭოთა ადამიანები აძლიერებენ ბრძოლას კომუნიზმის აგებისათვის

თავდადებული შრომის ერთი დღე

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა. 12 მარტი

... ზარის წკრიალით მოსდევენ ერთიმეორეს მგზავრებით სავსე ტრამვაის ვაგონები, იცლებიან, წრეს უვლიან, უკან ბრუნდებიან. ზედიზედ ჩერდებიან ქარხანასთან ავტობუსები. ჩქარი ნაბიჯით, ქვეითად მოდიან მუშები ახლო-მახლო საერთო საცხოვრებლებიდანაც, და ყოველი ახალი ნაკადი ადამიანებისა სწრაფად ინთქმება ქარხნის ვრცელ კორპუსებში.

საყვირმა მთელ უბანს აუწყა ქარხნის მორიგი, შრომითი დღის დაწყება.

ახალი ხალისი მოეფინა საამქროების დილის ცვლის მოსვლისას. გამოცოცხლდნენ უბნები, საამქროები, მთელი ქარხანა.

მეწყვილეები იბარებდნენ ჩარხებს:

— როგორ მუშაობდა? — კითხულობდა დილის ცვლის ხარატი.

— შესანიშნავად!

ჩქარობდნენ ოსტატები, დეტალებს იმარაგებდნენ, საწყობიდან იარაღებს იწერდნენ, სამუშაოს ანაწილებდნენ.

საბჭოთა ხალხის დიდი გლოვის დღეებში ორჯერ გაიმართა მიტინგი ამ ქარხანაში. თავიანთ ღრმა მწუხარებასთან ერთად ჩარხმშენებლები მტკიცე რწმენას გამოთქვამდნენ, რომ ახალ წარმატებებს მოიპოვებდნენ. მათ ფიცი მისცეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ კიდევ უფრო მტკიცედ დაირაზმებიან სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომ მისი ხელმძღვანელობით შრომაში ახალი წარმატებებით მიაღწევენ კომუნიზმის სრულ ზეიმს. „ამ მწუხარების საათებში, — აღნიშნავდნენ ისინი სამგლოვიარო მიტინგზე, — ჩვენი კოლექტივი ფიცსა სდებს კიდევ უფრო ფართოდ გაშალოს სოციალისტური შეჯიბრება და ღირსეულად შეასრულოს პარტიისა და მთავრობის ყველა დავალება“.

ჩარხმშენებლები ერთი აზრით არიან გამსჭვალულნი — იშრომონ ისე, როგორც გვასწავლიდა ბრძენი ბელადი. ვიშრომოთ! ვიბრძოლოთ! გავიმარჯვოთ! — ამ დევიზით მუშაობს ახლა მთელი კოლექტივი, და წარმატებებსაც აღწევს.

* * *

მარტში შვიდი სახის ახალი სპეციალური მილდასამუშავებელი ჩარხი უნდა გამზადდეს ასაწყობად მე-5 საამქროში. ასეთი პასუხსაგები და მრავალფეროვანი დავალება ჯერ არასდროს არ ჰქონიათ მათ.

— დღეს ჩვენ განსაკუთრებული დღე გვაქვს, — ამბობს საამქროს უფროსი ვარდანაშვილი. — ჩვეულებრივ, სპეციალური ჩარხის ერთ შპინდელს უნდა ვამზადებდეთ, გუშინ ორი გავაკეთეთ, დღეს კი მილსაჭრელი ჩარხის სამი შპინდელი უნდა დავამთავროთ.

12 მარტს მართლაც შესანიშნავად იმუშავეს მხეხავმა ვ. კუდრიავცევმა და ჩქაროსანმა ხარატმა ი. ტენიშევმა. მათ პირნათლად შეასრულეს ეს ძნელი ამოცანა. ხარატმა ზ. გვილუკაშვილმა ერთისამად შეამცირა კბილანების დამუშავების დრო.

სახარატო ჩარხთან დგას ნოვატორი ხარატი ა. აგაჯანოვი — ძველი, კადრის მუშა. 1916 წლიდან დაიწყო თექვსმეტი წლის ბიჭმა ლუკმაპურისათვის ქარხნიდან ქარხანაში ხეტიალი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ, სოციალისტურმა წყობილებამ, ლენინ — სტალინის პარტიამ გაუხსნა მას, ისევე როგორც კაპიტალიზმის უღლისაგან განთავისუფლებულ რუსეთის იმპერიის მილიონობით მშრომელს, ადამიანური შრომის, კულტურული ცხოვრების გზა და შეუქმნა პირობები შემოქმედებითი ნიჭის გაფურჩქვნისათვის.

საქმის ამ საუკეთესო ოსტატის ანგარიშზეა რამდენიმე გამოგონება და მრავალი რაციონალიზატორული წინადადება, ტექნიკური გაუმჯობესება.

უყურებთ აგაჯანოვის ჩარხს და გიკვირთ, მასზე ბევრი ისეთი ნაწილია დაყენებული, რომელიც სხვა მის მსგავს მანქანას არა აქვს. ეს დამატებები — მრავალრიცხოვანი სამარჯვები კომუნისტი ოსტატის შემოქმედებითი ძიების ნაყოფია.

აგაჯანოვმა იმ დღეს ახალი სამარჯვის გამოყენებით 314 პროცენტით გაანაღდა დავალება.

დიდი წარმატება მოიპოვა იმავე საამქროს მე-4 უბანმა, რომელსაც უფროსი ოსტატი მ. ცირულნიკი ხელმძღვანელობს. სამმაგად გაანაღდა ნორმა უბნის საუკეთესო მბურღავმა კომკავშირელმა გ. ძაძამიამ. გამწყობმა ი. ხუციშვილმა კაპიტალური შეკეთების შემდეგ კვლავ აამოქმედა კბილანების დამუშავებელი მრავალსაჭრისიანი ორი ჩარხი.

მე-5 საამქროს კოლექტივმა თებერვლის პირველ დეკადაში დაამზადა 35 სახელწოდების სამარჯვი და იარაღი, მარტის პირველ ათდღიურში კი — 22-ით მეტი. ამ მიღწევების მოპოვებაში დიდი წვლილი შეიტანეს სამარჯვებისა და მჭრელი იარაღების ჯგუფების სტახანოველებმა. 12 მარტს დღიური ნორმა 280 პროცენტით შეასრულა ხარატმა გ. იმედაშვილმა, რომელიც ცალუღის ტვიფრებს ჩარხავდა. მხეხავმა ა. სალოიანმა მილსაჭრელი ჩარხის შპინდელის საცობები 18 საათის მაგიერ 4 საათში გააკეთა.

— მუშაობით ვერ დავღალეთ მლესავი გ. ზარქუა, — თქვა საამქროს უფროსმა გ. როდონაიამ, — განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში. თავისი საქმის ნამდვილი ვირტუოზია, საუკეთესო ოსტატი, უბრალოდ როდი დაიღლის თავს. მას ყოველი მოძრაობა წინასწარ და ზუსტად აქვს გამოზომილი.

სახელოვანმა მლესავმა გ. ზარქუამ დღიური დავალება ოთხმაგად გაანაღდა.

თავი ისახელა საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულმა გ. ღავთაძემ, რომელმაც 6 თვის ნაცვლად 3 თვეში აითვისა სამარჯვების საჭარხი რთული მანქანა. ახლა იგი წარმატებით ცვლის შვებულებაში მყოფ ამხანაგს, რომელმაც მას ხელობა შეასწავლა.

ამწყობი ზეინკლებიდან მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს წინსაფრების, სუპორტებისა და სიჩქარის კოლოფების კვანძების ამწყობ უბნებზე მომუშავეებმა. ოსტატ მ. სპიცინის უბანმა ერთი დღით გაუსწრო გრაფიკს. ზეინკლებმა, რომლებსაც ოსტატი თ. უსანეთაშვილი ხელმძღვანელობს, დავალების გადამეტებით ორი წინსაფარის კვანძი ააწყეს.

9 მარტს შემდგარ სამგლოვიარო მიტინგზე ზეინკლამა ვ. კოჭლამაზაშვილმა პირობა დადო, რომ გაორკეცებული ენერგიით იშრომებდა, თავდადებით იბრძოლებდა მეხუთე სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის. 12 მარტს მან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ვ. გიორგაძე, იკისრა გეგმის 200 პროცენტით განაღდება. ცვლის დამთავრებისას გამოირკვა, რომ ვ. კოჭლამაზაშვილს სამმაგად შეესრულებინა დავალება.

მესამე საამწყობო საამქროში, სადაც უფროსად ინ. ... ... როგორც მთელ ქარხანაში, ხუთდღიური და ათდღიური გრაფიკი ზუსტად იქნა დაცული, დეკადის დავალების გადამეტებით აწყობის პროცესში ჰქონდათ 24 ჩარხი.

ამწყობი საამქროს ერთ-ერთ უბანზე კონსტრუქტორები და ზეინკლები თავს დასტრიალებენ ნახევრად აწყობილ მანქანას. ეს არის ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროში დამუშავებული მოდერნიზებული ჩქაროსნული უნივერსალური სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხი, რომლის სიჩქარე წუთში 1.000 ბრუნი იქნება. მიმდინარეობს მისი პირველი საცდელი ნიმუშის აწყობა. იმ დღეს ახალ ჩარხს დაუყენეს მიწოდებისა და გადაცემის კოლოფებიც.

ჩელიაბინსკის მილსაგლინავი ქარხნის დაკვეთით კონსტრუქტორები განაგრძობდნენ მუშაობას უნიკალური მძიმე მილსაჭრელი ჩარხის ტექნიკური პროექტისა და ნახაზების დამუშავებაზე. უნიკალური იქნება ეს ჩარხი თავისი გაბარიტებით, სიმძიმითა და სიდიდით.

მთავარი ტექნოლოგის განყოფილება ამუშავებდა მრავალკორგოლაჭიანი ალუმინის მილგასასწორებელი და მოდერნიზებული მილსაჭრელი ჩარხების ტექნოლოგიას. ამ საქმეზე მუშაობდნენ უფროსი ტექნოლოგები ღ. სტიშკოვი და ს. თათრიშვილი.

12 მარტი ღირსშესანიშნავი დღე იყო ქარხანაში. ამ დღეს შეუდგნენ მთელ რიგ ახალ რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას. ს. თათრიშვილის წინადადებით შეიცვალა „დიპის“ ტიპის ჩარხის სადგარის კონსტრუქცია, რაც წლიურად 42 ათასი მანეთის ეკონომიას მისცემს საწარმოს.

შესვენების დროს აგიტატორებმა წაიკითხეს ამხანაგების გ. მ. მალენკოვის, ლ. პ. ბერიას და ვ. მ. მოლოტოვის სიტყვები, წარმოთქმული მათ მიერ მოსკოვში, წითელ მოედანზე ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის დაკრძალვისას.

„სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, წინ, კომუნიზმისაკენ!“, „გეგმებს სამმაგად გავანაღდებთ!“, „ვიმუშავებთ უფრო მეტი თავდადებით!“ — გაისმოდა პარტიის მოწოდების საპასუხოდ ბრიგადებში, უბნებზე, საამქროებში, ამას იმეორებდა ქარხნის მთელი კოლექტივი.

დღის 5 საათისათვის ახალი, შემდგომი ცვლა მოვიდა ქარხანაში. კვლავ ისმოდა შეკითხვები:

— როგორ მუშაობდა?

— შესანიშნავად!

მიიწურა მეორე ცვლის მუშაობის დროც. მესამე ცვლის მუშებმა დაიწყეს დენა ქარხნის შესასვლელისაკენ.

... ქარხნის ეზოში რკინიგზის ღია პლატფორმები ჩამოაყენეს ჩარხების მორიგი პარტიის გასაგზავნად. დიდ ფიცრულ ყუთებზე, რომლებშიც თბილისური ჩარხები იყო, ეწერა: ამურის კომსომოლსკი, დნეპროპეტროვსკი, ყაზანი, კიევი, რიბინსკი, იაროსლავლი... ერთ-ერთ მათგანზე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მისამართიც იყო.

მეორე დილით ისევ ახმაურდნენ ლიანდაგებზე ტრამვაის მატარებლები, ისევ მოზღვავდა ხალხი ქარხნის შესასვლელთან, ქარმა მოიტაცა საყვირის ხმა და ქვეყანას აუწყა მორიგი დიდი შრომითი დღის დაწყება.

ს. ხარაზიშვილი.

მოსკოვიდან გაემგზავრნენ უცხოეთის მთავრობათა დელეგაციები, რომლებიც დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაკრძალვას

11 მარტს მოსკოვიდან გაემგზავრნენ მთავრობათა შემდეგი დელეგაციები, რომლებიც დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაკრძალვას:

რუმინეთის დელეგაცია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. გეორგიუ-დეჟის მეთაურობით. დელეგაცია გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მ. გ. პერვუხინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბ. თ. პოდცერობმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილემ ა. თ. გორკინმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია პრემიერ-მინისტრ ო. გროტეველის მეთაურობით. დელეგაცია გააცილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გ. მ. პუშკინმა.

ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია პრეზიდენტ კ. გოტვალდის მეთაურობით. დელეგაცია გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ა. ბულგანინმა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გ. მ. პუშკინმა.

პოლონეთის დელეგაცია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბ. ბერუტის მეთაურობით. დელეგაცია გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ა. ბულგანინმა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ი. ა. მალიკმა.

ბულგარეთის დელეგაცია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. ჩერვენკოვის მეთაურობით. დელეგაცია გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მ. გ. პერვუხინმა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბ. თ. პოდცერობმა.

ფინეთის დელეგაცია პრემიერ-მინისტრ უ. კეკონენის მეთაურობით. დელეგაცია გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ი. ა. მალიკმა და სსრ კავშირის დესპანმა ფინეთში ვ. ზ. ლებედევმა.

მოსკოვი. წითელი მოედანი. გვირგვინები, რომლებითაც საბჭოთა კავშირის მშრომელებმა შეამკეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის კუბო.
ფოტო მ. ხარლამპიევისა და ვ. კოშევოისა (საკავშირო ფოტოქრონიკა).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის პლენუმი

1953 წლის 10 მარტს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის მორიგი პლენუმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომის დადგენილების შესაბამისად, რომელმაც საჭიროდ ცნო, რომ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი მთლიანად მუშაობდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტის პლენუმმა გაათავისუფლა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის მდივნის და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის პლენუმმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად აირჩია ამხ. ნ. ა. მიხაილოვი.

მეცნიერული კომუნიზმის დიდი ფუძემდებელი

კ. მარქსის გარდაცვალების 70 წლისთავის გამო

○ ○ ○

1883 წლის 14 მარტს გარდაიცვალა კაცობრიობის უდიდესი მოაზროვნე, მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი, საერთაშორისო პროლეტარიატის მასწავლებელი და ბელადი კარლ მარქსი.

ამ დღეს მისი დიდი მეგობარი და თანამებრძოლი ფრიდრიხ ენგელსი წერდა:

„მას უნდა ვუმადლოდეთ ყოველივე იმას, რაც ჩვენ გავხდით; და ყოველივე იმას, რასაც ახლა მიაღწია თანამედროვე მოძრაობამ, ეს მოძრაობა უნდა უმადლოდეს მის თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობას; ის რომ არა, ჩვენ დღემდე ბნელში გიხეტიალებდით“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ., ტ. XXVII, გვ. 295).

კლასობრივი ბრძოლის მთელი ისტორიის მანძილზე მოწინავე ადამიანები ცდილობდნენ მოენახათ ის გზა, რომ ადამიანთა უდიდესი უმრავლესობა ეხსნათ მონობის, ექსპლოატაციის, ჩაგვრის, სიღატაკისა და უმეცრებისაგან, მაგრამ ქაოსი და თვითნებობა, რაც გამეფებული იყო შეხედულებებში ისტორიაზე, და სხვადასხვა მცდარი თეორიები უფარავდნენ მათ ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრების საიდუმლოებებს. „დიდი ჯახირი, წვალება და ცვლილება დასჭირდა ადამიანის აზროვნებას, — წერდა ამხანაგი სტალინი, —სანამ იგი მიადგებოდა მეცნიერულად შემუშავებულსა და დასაბუთებულ სოციალიზმს“ (თხზ., ტ. 1., გვ. 11).

თავისი რევოლუციური მოღვაწეობის გარიჟრაჟზევე მარქსმა დაგვანახვა მის დრომდე გაბატონებული თეორიული აზროვნების ყალბი მიმართულება და განსაზღვრა რევოლუციური მეცნიერების ამოცანები. „ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად **განმარტავდნენ** სამყაროს, — წერდა იგი, — მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი შეცვლილ იქნეს“ (კ. მარქსი, ფ. ენგელსი. „რჩეული ნაწერები“. სახელგამი. პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი. 1950 წ., ტ. II, გვ. 487).

თავის დიდ მეგობარ და თანამებრძოლ ენგელსთან ერთად კ. მარქსი გამოვიდა როგორც ყველაზე რევოლუციური კლასის — პროლეტარიატის თეორეტიკოსი და ბელადი.

კრიტიკულად გადაამუშავა რა საზოგადოებრივი აზროვნების ყველა მიღწევა, გენიალურად განაზოგადა რა ჩაგრულ კლასთა ბრძოლის გამოცდილება, კ. მარქსმა აღმოაჩინა კაცობრიობის ისტორიის განვითარების კანონი და მეცნიერულად დაამტკიცა, რომ ისტორიის მსვლელობა გარდუვალად მიდის კომუნიზმისაკენ. მისი გენიალური თხზულებანი: „ფილოსოფიის სიღატაკე“, „კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში 1848-დან 1850 წლამდე“, „თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა“, „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, „კაპიტალი“, „გოთას პროგრამის კრიტიკა“ და სხვები, აგრეთვე ფ. ენგელსთან ერთად შექმნილი „გერმანული იდეოლოგია“ და „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ წარმოადგენენ მეცნიერული კომუნიზმის უკვდავ ნაწარმოებებს, რომლებიც აიარაღებენ მუშათა კლასს მის ბრძოლაში კაპიტალისტური მონობისაგან კაცობრიობის განთავისუფლებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

„მარქსიზმი , — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — არის მეცნიერება ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონთა შესახებ, მეცნიერება ჩაგრული და ექსპლოატირებული მასების რევოლუციის შესახებ, მეცნიერება ყველა ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, მეცნიერება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შესახებ“ („მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები . სახელგამი. პოლიტლიტერატურის სექტორი. 1950 წ., გვ. 52).

თავისი როგორც თეორეტიკოსის ტიტანური მოღვაწეობის მთელ მანძილზე კ. მარქსმა ულმობელ, შეურიგებელ ბრძოლაში ცრუმეცნიერებასთან, რომელიც ცდილობდა დაემტკიცებინა კაპიტალიზმის მარადიულობა, ფ. ენგელსთან ერთად შექმნა ნამდვილი მეცნიერება საზოგადოების შესახებ, მეცნიერება, რომელსაც ისინი ერთად ავითარებდნენ და რომელშიც, როგორც აღნიშნავდა ენგელსი, „...სახელმძღვანელო ძირითადი იდეების უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით ეკონომიკურ და ისტორიულ დარგში... მარქსს ეკუთვნის... ამიტომ ეს თეორია სამართლიანად ატარებს მის სახელს“ (კ. მარქსი, ფ. ენგელსი. „რჩეული ნაწერები“. სახელგამი. პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი, 1950 წ., ტ. II, გვ. 464).

კ. მარქსმა რევოლუციური გადატრიალება მოახდინა ფილოსოფიის დარგში. სწორედ კ. მარქსიდან იწყება სრულიად ახალი პერიოდი ფილოსოფიის ისტორიისა, რომელიც პირველად იქცა მეცნიერებად. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ შექმნილი დიალექტიკური მატერიალიზმი კომუნიზმის თეორიული საძირკველია. მუშათა კლასმა მიიღო მძლავრი იდეური იარაღი კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

უამრავი ფაქტის ანალიზის საფუძველზე მარქსმა შექმნა ახალი ეკონომიკური მოძღვრება, რომელშიც ახსნა წარმოების კაპიტალისტური წესის ღრმა საიდუმლოება და კაპიტალიზმის დამახასიათებელი ის წინააღმდეგობანი, რომლებსაც კაპიტალიზმი გარდუვალი დაღუპვისაკენ მიჰყავს. კ. მარქსმა დაგვანახვა მთავარი საზოგადოებრივი ძალა — პროლეტარიატი, რომელსაც ისტორიამ დააკისრა უდიდესი და უკეთილშობილესი ისტორიული მისია: სამუდამოდ მოუღოს ბოლო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას — გახდეს კაპიტალიზმის მესაფლავე და ახალი, კომუნისტური საზოგადოების შემქმნელი.

ამხილა რა ბურჟუაზიის აპოლოგეტები, რომლებიც ცდილობდნენ დაეფარათ კაპიტალისტთა სიმდიდრის ნამდვილი წყაროები, მარქსმა ცხადყო, რომ „ზედმეტი ღირებულების წარმოება ანუ მოგების მოპოვება — ასეთია წარმოების ამ წესის აბსოლუტური კანონი“ („კაპიტალი“, ტ. I, გვ. 564) და რომ თავის მისწრაფებაში მოგების მიღებისადმი ბურჟუაზია არაფერს არ თაკილობს. კაპიტალიზმი, როგორც ვამპირი, მხოლოდ მაშინ გაცოცხლდება ხოლმე, წერდა მარქსი, როცა ცოცხალ შრომას შეიწოვს, და მით უფრო სრულად ცოცხლობს, რაც უფრო მეტ ცოცხალ შრომას შთანთქამს.

არკვევდა რა კაპიტალისტური ექსპლოატაციის ბუნებას, მარქსმა აღმოაჩინა კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონი, რომელიც იწვევს იმას, რომ ერთ პოლუსზე თავს იყრის სულ უფრო მეტი სიმდიდრე, მეორე პოლუსზე კი ძლიერდება მშრომელი მასების აბსოლუტური და შეფარდებითი გაღატაკება. ყოველივე ეს იწვევს პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის წინააღმდეგობათა გარდუვალ გამწვავებას, მათ შორის კლასობრივი ბრძოლის გაძლიერებას და ბურჟუაზიის რევოლუციურ დამხობას.

მარქსის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ მან კაცობრიობის ისტორიაში პირველად არა მარტო დაამტკიცა კაპიტალიზმის დაღუპვის გარდუვალობა, არამედ მოგვცა ახალი საზოგადოების მეცნიერული წინასწარხედვის ბრწყინვალე ნიმუში. თავის ნაშრომებში კ. მარქსი იკვლევს მომავალი კომუნისტური საზოგადოების ძირითად ნიშნებს და გენიალური შორსმჭვრეტელობით სახავს კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის ზოგად კონტურებს.

„კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებას შორის, — წერდა კ. მარქსი, — მდებარეობს ერთის მეორედ რევოლუციური გარდაქმნის პერიოდი. ამ პერიოდს შეესაბამება აგრეთვე პოლიტიკურად გარდამავალი პერიოდი, რომლის დროს სახელმწიფო არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არ **პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა**“ (კ. მარქსი, ფ. ენგელსი. „რჩეული ნაწერები“, ტ. II, გვ. 27).

ლაპარაკობს რა კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გარდამავალ პერიოდზე, მარქსი ადგენს ორ ფაზას კომუნისტური საზოგადოების განვითარებაში: დაბალს — სოციალისტურ სტადიას და უმაღლესს — კომუნისტურს.

ადარებდა რა ერთმანეთს წარმოების კაპიტალისტურ წესსა და სოციალისტურ წესს, კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტური წარმოების მიზანი ყოველთვის არის მაქსიმუმი ზედმეტი ღირებულების შექმნა. თავის გენიალურ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ მარქსის ეს სიტყვები შესანიშნავია იმით, რომ მოკლედ და ზუსტად განსაზღვრავს კაპიტალისტური წარმოების მიზანს.

გაარკვია რა თანაფარდობა წარმოების საშუალებათა წარმოებასა და მოხმარების საშუალებათა წარმოებას შორის, მარქსმა შექმნა აღწარმოების თეორია, რომელიც, როგორც დაგვანახვა ამხანაგმა სტალინმა, ძალაშია სოციალისტურ-კომუნისტური წარმოებისთვისაც.

„უნდა აღინიშნოს, — წერს ამხანაგი სტალინი, — რომ მარქსი „გოთას პროგრამის კრიტიკაში“ სოციალიზმისა და კომუნიზმში გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ანალიზის დროს თავისი აღწარმოების თეორიის ძირითადი დებულებებიდან გამოდის, თვლის რა მათ უთუოდ სავალდებულოდ კომუნისტური წყობილებისათვის“ („სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, გვ. 88).

მარქსიზმის დიდმა ფუძემდებლებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მოგვცეს ძირითადი მონასახი პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეისა, ცხადყვეს, რომ პროლეტარიატს შეუძლია წარმატებით ებრძოდეს ბურჟუაზიას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი თავის გარშემო გააერთიანებს ყველა მშრომელს, და რომ გლეხებს, ხელოსნებს, ყველა ჩაგრულთ შეუძლიათ თავი დააღწიონ გაჩანაგებას, ექსპლოატაციას, სიღატაკესა და შიმშილს, თუ მტკიცედ დადგებიან პროლეტარიატის მხარეზე. უჩვენეს რა ყველა ჩაგრულსა და დამონებულს მათი უბედურების მიზეზები, მარქსმა და ენგელსმა დაამტკიცეს, რომ მშრომელებს არ შეუძლიათ ჰქონდეთ ბურჟუაზიის მოწყალების იმედი და რომ მათი ნამდვილად ბედნიერი და სასიხარულო მომავალი მოპოვებულ უნდა იქნას მჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლით.

კ. მარქსმა დასახა სოციალისტური რევოლუციის მხარეზე გლეხობის მიზიდვის გზები, ფიქრობდა რა, რომ პროლეტარიატი მტკიცედ უნდა ცდილობდეს მიაღწიოს გლეხობის ძირითადი მასების გადასვლას მის მხარეზე.

პროლეტარიატი „როგორც მთავრობა, — წერდა მარქსი, — უნდა იღებდეს ღონისძიებებს, რომელთა შედეგადაც გლეხის მდგომარეობა უშუალოდ გაუმჯობესდება და რომლებიც, ამრიგად, მიიზიდავენ მას რევოლუციის მხარეზე; მაგრამ ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ჩანასახში აადვილებენ გადასვლას მიწის კერძო საკუთრებიდან კოლექტიურ საკუთრებაზე, ისე რომ გლეხი თვითონ მიდის აქამდე სამეურნეო გზით...“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ტ. XV, გვ. 187).

კ. მარქსმა გენიალური შორსმჭვრეტელობით მიგვითითა კომუნიზმის უმაღლესი ფაზის ძირითად ნიშნებზე. კომუნისტური საზოგადოების უმაღლესი ფაზა, აღნიშნავდა კ. მარქსი, უნდა ვითარდებოდეს უკვე საკუთარ საფუძველზე, კომუნისტურ საზოგადოებაში აღარ იქნება კლასობრივი განსხვავება ადამიანებს შორის, შრომა არსებობის საშუალებიდან ადამიანის პირველ მოთხოვნილებად გადაიქცევა. მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი ხელმძღვანელი პრინციპი გახდება კომუნისტური პრინციპი: „თვითეულისაგან უნარის მიხედვით, თვითეულს — მოთხოვნილების მიხედვით!“.

მეცნიერული კომუნიზმის თეორია რომ შექმნა, მარქსს მიაჩნდა, რომ კაპიტალიზმიდან კომუნიზმში აუცილებელი კანონზომიერი გადასვლა არ უნდა იყოს ბრმა, სტიქიური პროცესი, რომ, შეიცნობენ რა საზოგადოებრივი განვითარების კანონებს, მუშათა კლასმა, მშრომელმა მასებმა შეგნებულად უნდა მოახდინონ ზეგავლენა ისტორიის მსვლელობაზე, შეამოკლონ გარდამავალი პერიოდი, შეარბილონ ახალი საზოგადოებრივი წყობილების „მშობიარობის ტკივილები“.

„მაშინაც კი, — წერდა კ. მარქსი, — როდესაც საზოგადოებამ მიაგნო თავისი განვითარების ბუნებრივი კანონის კვალს... იგი ვერ გადაახტება ბუნებრივი განვითარების ფაზებს და ვერც გააუქმებს მათ დეკრეტებით. მაგრამ მას შეუძლია შეამოკლოს და შეანელოს მშობიარობის ტკივილები“ („კაპიტალი“, ტ. I, გვ. LIV).

თავისი მეცნიერებით კომუნისტური საზოგადოების შესახებ კ. მარქსმა მუშათა კლასს და მშრომელ მასებს ხელთ მისცა კომპასი საბოლოო მიზნის მისაღწევად.

კ. მარქსი დიდი პროლეტარული რევოლუციონერი იყო; მან არა მარტო პირველად მისცა მეცნიერული საფუძველი საერთაშორისო მუშათა მოძრაობას, არამედ ერთ განუყოფელ მთლიანობადაც შეაკავშირა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის თეორია და პრაქტიკა.

გაუნათეს რა მშრომელებს კომუნიზმის გზა თავიანთი მოძღვრების შუქით, მარქსიზმის ფუძემდებლებმა მეცნიერულად დაამტკიცეს, რომ თავისი მსოფლიო-ისტორიული მისიის შესრულება პროლეტარიატს შეუძლია მხოლოდ თავისი რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობით.

მუშათა პირველი საერთაშორისო ორგანიზაციის „კომუნისტების კავშირის“ ორგანიზატორი და ბელადი, I ინტერნაციონალის დამაარსებელი და ბელადი, მარქსი ამოცანად ისახავდა მუშათა მოძრაობის შეერთებას მეცნიერულ სოციალიზმთან. თავის მრავალ პუბლიცისტურ ნაშრომში მარქსი ეხმაურებოდა თავისი დროის ისტორიულ მოვლენებს, მრისხანედ ამხილებდა გაბატონებულ კლასებს, რეაქციულ მთავრობებს და ხალხის მასების ყველა ჯურის მოღალატეებს. იგი მთელი ძალებით ცდილობდა დახმარება გაეწია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მებრძოლი მშრომელებისათვის. კ. მარქსი პირადი მონაწილე იყო ჩარტისტული მოძრაობისა ინგლისში, 1848 წლის რევოლუციისა გერმანიაში. იგი დიდ დახმარებას უწევდა პარიზის კომუნარებს. იგი მხარს უჭერდა სიმპათიით ეკიდებოდა ირლანდიელი, პოლონელი, იტალიელი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, ჩინელი, ინდოელი და სხვა ჩაგრული ხალხების ბრძოლას.

მარქსი განსაკუთრებული ყურადღებითა და მხურვალე სიმპათიით ადევნებდა თვალს რევოლუციურ მოძრაობას რუსეთში. „...მარქსი და ენგელსი, — წერდა ლენინი, — აღსავსენი იყვნენ მტკიცე რწმენით რუსეთის რევოლუციისა და მისი მძლავრი მსოფლიო მნიშვნელობისადმი“ (თხზ., ტ. 12, გვ 459).

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ II ინტერნაციონალის სოციალისტური პარტიების ოპორტუნისტი ლიდერები ბურჟუაზიის საამებლად, ღალატობდნენ რა მუშათა კლასის ინტერესებს, რევიზიას უწევდნენ და ამახინჯებდნენ მარქსიზმს, აცლიდნენ მას რევოლუციურ შინაარსს და ამით ცდილობდნენ თეორიულად და იდეოლოგიურად განეიარაღებინათ პროლეტარიატი.

მარქსისა და ენგელსის საქმის დიდი განმგრძობების — ლენინისა და სტალინის მსოფლიო-ისტორიული დამსახურება ის არის, რომ ყოველგვარი ოპორტუნიზმის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში მათ არა მარტო დაიცვეს მარქსიზმი, არამედ ახალ ისტორიულ პირობებში, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში, განავითარეს იგი და უმაღლეს საფეხურზე აიყვანეს ყველა მის შემადგენელ ნაწილში — ფილოსოფიაში, პოლიტიკურ ეკონომიასა და მეცნიერულ სოციალიზმში.

ლენინიზმი არის იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმი. ლენინიზმი უმაღლესი საფეხურია რუსეთისა და მსოფლიო კულტურის განვითარებაში. ლენინიზმი არის ინტერნაციონალური მოძღვრება, რომელიც სავალდებულოა ყველა ქვეყნისათვის.

ლენინის შემდეგ ამხანაგმა სტალინმა მაღლა ასწია შემოქმედებითი მარქსიზმის დროშა, გაამდიდრა მარქსიზმ-ლენინიზმი უდიდესი მეცნიერული აღმოჩენებით. მისი ახალი გენიალური შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ფასდაუდებელი წვლილია მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების საგანძურში; ამ შრომამ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება გაამდიდრა დიდი აღმოჩენებით — სოციალიზმისა და თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიკური კანონების ხასიათისა და მოქმედების შესახებ.

ამხანაგი სტალინი თავის შრომაში იკვლევს სოციალისტურ საზოგადოებაში მატერიალური დოვლათის საზოგადოებრივი წარმოებისა და განაწილების კანონებს. მან წამოაყენა საპროგრამო დებულებანი სოციალიზმიდან უმაღლეს სტადიაში — კომუნიზმში გადასვლის გზების შესახებ.

მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის მოძღვრება ჩვენს პარტიას აძლევს უძლეველ ძალას, იმის უნარს, რომ კაფავდეს ახალ გზებს ისტორიაში, ნათლად ხედავდეს ჩვენი წინსვლის მიზანს, სწრაფად აღწევდეს და განამტკიცებდეს გამარჯვებებს.

ლენინ — სტალინის იდეები რევოლუციური თეორიის კაშკაშა შუქს ჰფენენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ყველა ქვეყნის ხალხთა მასების ბრძოლის ამოცანებსა და პერსპექტივებს.

მეცნიერული კომუნიზმის მომხრეთა წინააღმდეგ ბრძოლის ვერაგული, საზიზღარი, სისხლიანი მეთოდები ჯერ არასოდეს არ ყოფილა გამოყენებული ისეთი მასშტაბით, როგორითაც მათ ამჟამად იყენებენ ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები და მათი დამქაშები, მემარჯვენე სოციალისტები, რათა შეაჩერონ მარქსიზმ-ლენინიზმის გავრცელება კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა ფართო მასებში. მაგრამ რა ურჯულო ღონისძიებებსაც უნდა მიმართავდეს იმპერიალისტური რეაქცია, ყოველ ახალ ისტორიულ ეტაპს სულ ახალი და ახალი გამარჯვება მოაქვს მარქსიზმ-ლენინიზმისათვის.

მარქსიზმ-ლენინიზმი ცოცხლობს და იმარჯვებს ლენინ — სტალინის დიადი პარტიის ისტორიულ საქმეებში. კომუნიზმისაკენ მტკიცედ მიმავალი საბჭოთა ხალხის შრომასა და ბრძოლაში. მარქსიზმ-ლენინიზმი ცოცხლობს და იმარჯვებს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელთა თავდადებულ ბრძოლაში, რომლებიც წარმატებით აშენებენ სოციალიზმს. მარქსიზმ-ლენინიზმი ცოცხლობს და იმარჯვებს მზარდ მსოფლიო რევოლუციურ მოძრაობაში, ბურჟუაზიის დიქტატურის წინააღმდეგ კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის ბრძოლაში, იმპერიალისტური მონობის წინააღმდეგ კოლონიების ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეები ყველა ქვეყნის მშრომელთ უნათებენ გზას დიდი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

ამ დღეებში მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი მწუხარებითა და გულისტკივილით გამოეთხოვა თავის საყვარელ გენიალურ ბელადს, მარქსიზმ-ლენინიზმის დიდ თეორეტიკოსს ი. ბ. სტალინს. საყოველთაო გლოვის დღეებში კომუნისტური პარტიის წევრები და უპარტიოები გამოთქვამდნენ მტკიცე გადაწყვეტილებას, რომ ისინი კიდევ უფრო შემჭიდროვდებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. ჩვენი მშობლიური, ბრძენი მასწავლებელი ი. ბ. სტალინი ლენინთან ერთად, ხოლო ლენინის გარდაცვალების შემდეგ თითქმის 30 წლის მანძილზე მიუძღოდა საბჭოთა ხალხს მარქსიზმ - ლენინიზმის ძლევამოსილი დროშით, ხელმძღვანელობდა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის სტალინური პროგრამის განხორციელებას.

ი. ბ. სტალინმა ახალ ისტორიულ პირობებში გენიალურად განავითარა მარქსიზმ-ლენინიზმის მდიდრება და ასწავლა საბჭოთა ადამიანებს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შემოქმედებითად გამოყენება კომუნიზმის პრაქტიკულ მშენებლობაში. დიდი სტალინის უკვდავი სახელი სამართლიანად დგას კაცობრიობის მთელ ისტორიაში უდიდესი ადამიანების მარქსის, ენგელსის და ლენინის გვერდით.

ი. ბ. სტალინმა ჩვენი ქვეყანა მიიყვანა სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე, შეაიარაღა პარტია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიადი პროგრამით. საბჭოთა ხალხი, რომელიც რამდენიმე ათეული წლების პირადი გამოცდილებით დარწმუნდა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დიად გარდამქმნელ ძალაში, კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმება ჩვენი პარტიის გარშემო და ლენინ — სტალინის უძლეველი დროშით რწმენით მიდის წინ სრული კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად.

ნ. სამოჩუკოვი.

გერმანიაში მყოფი საბჭოთა სამხედროპარტის მთავარსარდლის არმიის გენერალ ჩუიკოვის პროტესტი დასავლეთ გერმანიაში, ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის კირკპატრიკისადმი

12 მარტს გერმანიაში მყოფი საბჭოთა საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალმა არმიის გენერალმა ჩუიკოვმა ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს დასავლეთ გერმანიაში ბ-ნ კირკპატრიკს გაუგზავნა შემდეგი წერილი:

ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს დასავლეთ გერმანიაში ბატონ კირკპატრიკს

საჭიროდ მიმაჩნია გაცნობოთ შემდეგი:

შვერინის რაიონის საბჭოთა საავიაციო ნაწილის სარდლობის მოხსენებით, რომელიც მე შევამოწმე, ამა წლის 12 მარტს 14 საათსა და 26 წუთზე ბერლინის დროით ბოიცენბურგის რაიონში შემჩნეულ იქნა სამხედრო თვითმფრინავი-ბომბდამშენი, რომელმაც დაარღვია სადემარკაციო ხაზი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიფრინავდა მარშრუტით ბოიცენბურგ - პარჩიმ-როსტოკი (რომელიც ბალტიის ზღვის ნაპირზეა) და, ამრიგად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოიჭრა 120 კილომეტრით.

იმასთან დაკავშირებით, რომ თვითმფრინავი განაგრძობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ფრენას, ამ დროს ჰაერში მყოფმა ორმა საბჭოთა ავიაგამანადგურებელმა საზღვრის დამრღვევ თვითმფრინავს მოსთხოვა გაჰყოლოდა მათ უახლოეს აეროდრომზე ძირს დასაშვებად, როგორც ეს საბჭოთა ავიაციაში, აგრეთვე სხვა სახელმწიფოთა სამხედრო ავიაციაში მოქმედი წესებით არის დადგენილი. საზღვრის დამრღვევი თვითმფრინავი არათუ არ დაემორჩილა ამ კანონიერ მოთხოვნას, არამედ სროლაც კი აუტეხა საბჭოთა თვითმფრინავებს.

საბჭოთა ავიაგამანადგურებლები იძულებული გახდნენ ამაზე ეპასუხნათ გამაფრთხილებელი სროლით, საზღვრის დამრღვევი თვითმფრინავი კი კვლავ უშენდა ცეცხლს საბჭოთა ავიაგამანადგურებლებს. საბჭოთა ავიაგამანადგურებლები იძულებული გახდნენ აეტეხათ საპასუხო სროლა, რის შემდეგ დამრღვევმა თვითმფრინავმა იწყო ძირს დაშვება და ჩამოვარდა შვერინის სამხრეთ-დასავლეთით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

თვითმფრინავის ჩამოვარდნის ადგილზე ნაპოვნია დამტვრეული თვითმფრინავის ნამსხვრევები. იგი აღმოჩნდა „ავრო ლინკოლნის“ ტიპის სამხედრო თვითმფრინავი-ბომბდამშენი, რომელსაც აქვს ბრიტანეთის გამოსაცნობი ნიშნები, ნაპოვნია ოთხი ინგლისელი სამხედრო მფრინავის გვამი, აგრეთვე წამოყვანილია ერთი მძიმედ დაჭრილი მფრინავი, რომელიც მოთავსებულია საავადმყოფოში. დამსხვრეულ თვითმფრინავზე აღმოჩნდა ორი საავიაციო ზარბაზანი, მსხვილი კალიბრის ტყვიამფრქვევი, საომარი მასალები და დაცლილი ვაზნები.

გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულ სამწუხარო ფაქტს, რომელიც ბრიტანეთის სამხედრო თვითმფრინავს შეემთხვა, ამასთან ერთად პროტესტს გიცხადებთ ინგლისის სამხედრო თვითმფრინავის მიერ სადემარკაციო ხაზის — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრის დარღვევის წინააღმდეგ.

გერმანიაში მყოფი საბჭოთა საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალი
არმიის გენერალი ჩუიკოვი.

1953 წლის 12 მარტი. ბერლინი.

თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს (პირველი მოწვევის) პირველი სესია

გაიმართა თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს (პირველი მოწვევის) პირველი სესია.

სესია გახსნა უხუცესმა დეპუტატმა გ. დ. ბეჟანიშვილმა.

სესიის თავმჯდომარედ დეპუტატ ა. ა. ნოზაძის წინადადებით ერთხმად აირჩევენ დეპუტატ დ. ზ. რომელაშვილს, მდივნად — დეპუტატ ნ. ს. **ყაზახაშვილს.**

სესიამ განიხილა შემდეგი საკითხები: სამანდატო კომისიის არჩევნები; სამანდატო კომისიის მოხსენება; თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის არჩევნები, თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომთან განყოფილებებისა და სამმართველოების შექმნა; თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს მუდმივი კომისიების შექმნა და არჩევნები; თბილისის საოლქო სასამართლოს და თბილისის საოლქო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა არჩევნები.

დეპუტატ შ. გ. თათარაშვილის წინადადებით არჩეული დეპუტატების რწმენებათა შესამოწმებლად სესიამ აირჩია სამანდატო კომისია.

მოსმენილი იქნა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ი. გ. რთველიაშვილის მოხსენება.

დეპუტატ შ. გ. თათარაშვილის წინადადებითა ამტკიცებს სამანდატო კომისიის მოხსენებას.

დეპუტატ თ. ვ. ლაშქარაშვილის წინადადებით სესია გადაწყვეტილებას იღებს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომი აირჩიოს 15 კაცის შემადგენლობით.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩევენ დეპუტატ ი. პ. **ყუჯიაშვილს.**

აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ აირჩევენ დეპუტატ მ. ბ. ალავერდაშვილს, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეებად აირჩევენ დეპუტატებს გ. გ. ფოფხაძეს, მ. ნ. ინაურს, ვ. ბ. გურბელაძეს, აღმასკომის მდივნად — დეპუტატ გ. ს. საგინაშვილს. აღმასკომის წევრებად აირჩევენ დეპუტატებს კ. დ. **ბუჯიაშვილს**, ს. მ. ჭელიძეს, გ. დ. ჯავახიშვილს, გ. ა. ბილანიშვილს, თ. მ. მათიაშვილს, ლ. ბ. გომელაურს, გ. ი. **კეჩხუაშვილს**, ი. გ. ბოძაშვილს და მ. კ. ჩიქობავას.

შემდეგ სესია იწყებს თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომთან განყოფილებებისა და სამმართველოების შექმნის საკითხის განხილვას.

დეპუტატ ი. პ. **ყუჯიაშვილის** წინადადებით სესია იღებს გადაწყვეტილებებს, რომ თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომთან შეიქმნას არქიტექტურის საქმეთა, ვაჭრობის, კომუნალური მეურნეობის, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის, საგზაო მშენებლობის, საერო, საფინანსო, სახალხო განათლების, სოციალური უზრუნველყოფის, ხელოვნების საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებანი; ადგილობრივი მრეწველობის, კინოფიკაციის, სასოფლო და საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეთა, სატყეო მეურნეობის, სოფლის მეურნეობის, ტექნიკური კულტურების, წყალთა მეურნეობის სამმართველოები, აგრეთვე საოლქო საგეგმო კომისია, ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საოლქო კომიტეტი და კადრების სექტორი საოლქო აღმასკომის თავმჯდომარესთან.

სესიამ დეპუტატ გ. გ. **ფოფხაძის** წინადადებით შექმნა თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს 12 მუდმივი კომისია: მენინდვრეობის, მეცხოველეობის, ტექნიკური კულტურების, საფინანსო-საბიუჯეტო, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობისა და კოოპერაციის, ადგილობრივი მრეწველობის, საგზაო მშენებლობის, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის, გამწვანებისა და ტყის გაშენების კომისიები და ერთხმად აირჩია ამ კომისიების წევრები.

შემდეგ დეპუტატ **გ. ს. საგინაშვილის** წინადადებით სესიამ აირჩია თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე, ორი მოადგილე და 11 წევრი. სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩევენ **დეპუტატ უ. თ. კაპანაძეს.** სესიამ აირჩია აგრეთვე საოლქო სასამართლოს სახალხო მსაჯულები 223 კაცის შემადგენლობით.

სესიის დღის წესრიგი ამოწურულია.

თავმჯდომარე თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს (პირველი მოწვევის) პირველ სესიას დახურულად აცხადებს. (საქდესი).

ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს სესია

ქუთაისი. (საკ. კორ.). შედგა ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს პირველი მოწვევის პირველი სესია.

სესია გახსნა ქუთაისის საოლქო საბჭოს ერთ-ერთმა უხუცესმა დეპუტატმა დამსახურებულმა ექიმმა ე. დ. ბეთანელმა

სესიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი შ. ი. ჭანყოფაძე, მდივნად — დეპუტატი მ. ტ.

ი. ბ. სტალინი სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის მომზადების პირობების შესახებ

ამხანაგმა სტალინმა თავისი ახალი გენიალური ნაშრომით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შემდგომ განავითარა, წინ წასწია და უმაღლეს საფეხურზე აიყვანა მეცნიერული კომუნიზმი, შეავსო და გაამდიდრა იგი ახალი უმნიშვნელოვანესი მეცნიერული აღმოჩენებით, დებულებებითა და დასკვნებით. ამხანაგმა სტალინმა თავის ამ ახალ კლასიკურ ნაშრომში მისთვის ჩვეული მეცნიერული სიღრმითა და სიცხადით განსაზღვრა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის კანონზომიერებანი, მეცნიერული წინასწარხედვის მთელი ძალით გვიჩვენა კომუნიზმში გადასვლის მომზადების ძირითადი წინასწარი პირობები და დასახა ამ გადასვლის კონკრეტული გზები და საშუალებანი.

ი. ბ. სტალინის მოძღვრებას ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის შესახებ უდიდესი შთამაგონებელი, დამრაზმავი, მაორგანიზებელი ძალა აქვს, იგი იდეურად აიარაღებს ჩვენს პარტიასა და საბჭოთა ხალხს, მძლავრი პროჟექტორივით გვინათებს კომუნიზმისაკენ მიმავალ გზას.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლა — „ეს რთული და მრავალმხრივი საქმეა“, რომ ეს არის არა უბრალო განვითარება, არამედ ერთი ეკონომიკიდან, სოციალიზმის ეკონომიკიდან, მეორე — უმაღლეს ეკონომიკაში, კომუნიზმის ეკონომიკაში ძირეული გადასვლა. ამ რთული ამოცანის განხორციელება მოითხოვს, როგორც „უაღრესად სერიოზულ ეკონომიკურ ცვლილებებს“, ასევე სერიოზულ ცვლილებებს საზოგადოების კულტურული განვითარების სფეროში. ეს აუცილებელია, რადგან კომუნიზმი გულისხმობს არა მარტო უმაღლეს ეკონომიკას, არამედ კულტურულად განვითარებულ, მაღალი კომუნისტური შეგნების ადამიანებსაც. ამრიგად, სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლა ხანგრძლივი და რთული პროცესია და მისი განხორციელებისათვის „...საჭიროა გავიაროთ საზოგადოების ხელახალი ეკონომიკური და კულტურული აღზრდის მთელი რიგი ეტაპები“ („სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, გვ. 72).

ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა, რომ სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის ყოველმხრივ მომზადებისათვის აუცილებელია განვახორციელოთ სამი ძირითადი წინაპირობა მაინც.

I.

ამხანაგმა სტალინმა „გაარკვია, რომ კომუნიზმში გადასვლის მომზადებისათვის უწინარეს ყოვლისა: „აუცილებელია მტკიცედ უზრუნველვყოთ... მთელი საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი ზრდა, ამასთან წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა“ (იქვე, გვ. 72).

კომუნიზმი გულისხმობს უაღრესად განვითარებულ საწარმოო ძალებს, საზოგადოებრივი წარმოების ისეთ დონეს, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქტთა ნამდვილ სიუხვეს, რომელსაც შეეძლება დაკმაყოფილოს საზოგადოების მთელი მოთხოვნილება. ჯერ კიდევ კ. მარქსი მიუთითებდა, რომ კომუნიზმის პრინციპზე — პროდუქტების მოთხოვნილების მიხედვით განაწილებაზე — გადასვლა შესაძლებელი იქნება მაშინ როცა „საზოგადოებრივი სიმდიდრის ყველა წყარო უხვად გადმოდინდება“. მართალია უკვე ახლა, სოციალიზმის დროს, წარმოებამ მიაღწია მძლავრ განვითარებას, ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის სტალინური პოლიტიკის განხორციელების შედეგად ჩვენი ქვეყანა დიდი ხანია გადაიქცა ჩამორჩენილიდან მოწინავე, უმძლავრეს ინდუსტრიულ და უმსხვილეს საკოლმეურნეო სოფლის მეურნეობის ქვეყნად, რის შედეგადაც არაჩვეულებრივად ამაღლდა მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის დონე. მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ არ არის მიღწეული საზოგადოებრივი წარმოების ისეთი დონე, რომელიც საჭიროა კომუნიზმის უმაღლეს ფაზაში გადასვლისათვის. ამიტომ უპირველესი ამოცანაა განუწყვეტლივ ვზრადოთ და სრულვყოთ საზოგადოებრივი წარმოება. სწორედ ამ მიმართულებით მოქმედებს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი, რომელიც ამხანაგმა სტალინმა აღმოაჩინა.

იმისათვის, რომ განუწყვეტლივ იზრდებოდეს სოციალისტური წარმოება, აუცილებელია განსაკუთრებით ვითარდებოდეს წარმოების საშუალებათა წარმოების დარგები. ამხანაგი სტალინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „...შეუძლებელია განვახორციელოთ სახალხო მეურნეობის განუწყვეტელი ზრდა, თუ ამასთან ერთად არ განვახორციელეთ წარმოების საშუალებათა წარმოების პრიმატი“. წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა აუცილებელია იმიტომაც, რომ „უიმისოდ საერთოდ შეუძლებელია განხორციელდეს გაფართოებული აღწარმოება“. სწორედ წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა იძლევა საშუალებას მანქანებითა და მოწყობილობით უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოები, მათ შორის თვით წარმოების საშუალებათა წარმოების დარგებიც.

ამხანაგ სტალინის ამ საპროგრამო დებულებებზეა აგებული პარტიის XIX ყრილობის დირექტივები მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. დირექტივები ითვალისწინებს მთელი საზოგადოებრივი წარმოების ახალ მძლავრ აღმავლობას, რაც გულისხმობს არა მარტო არსებულ საწარმოთა გაფართოებას და მათ სიმძლავრეთა გადიდებას, არამედ ახალი ფაბრიკების, ქარხნების, შახტების, ჰიდროელექტროსადგურების, გიგანტური არხების მშენებლობას, ითვალისწინებს წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატეს ზრდას. მაგალითად, თუ სამრეწველო წარმოების საერთო დონე მეხუთე ხუთწლედში 70 პროცენტით იზრდება, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქციის ზრდა გათვალისწინებულია 200 პროცენტით. აღსანიშნავია, რომ მარტო გასულ წელს გაცილებით მეტი მანქანები და მოწყობილობა იქნა გამოშვებული, ვიდრე პირველ და მეორე ხუთწლედებში ერთად.

კომუნიზმი გულისხმობს მთელი სახალხო მეურნეობის და თვით საყოფაცხოვრებო მეურნეობის მექანიზაციას. კომუნისტურ საზოგადოებაში წარმოების მთელი პროცესი, როგორც ნედლეულის მოპოვება, ისე მისი გადამუშავება და, ბოლოს, მზა ნაწარმის მომხმარებლისათვის მიწოდება მექანიზებული იქნება. პირველი ძირითადი პირობის განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს კომუნიზმის სწორედ ასეთი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. ამიტომ არის, რომ ასე ფართოდ ინერგება წარმოების კომპლექსური მექანიზაცია, ავტომატიზაცია და ქიმიზაცია. ჩვენში უკვე ბევრია და სულ უფრო მრავლდება ისეთი საწარმოები, სადაც წარმოების ცალკე რგოლები და მთელი საამქროებიც კი მთლიანად მექანიზებული და ავტომატიზებულია. უფრო მეტიც: საბჭოთა კავშირში შექმნილია მსოფლიოში პირველი ქარხანა-ავტომატი, რომელიც ავტომობილის დეტალებს ამზადებს. ამ ქარხანაში პირველ აგრეგატში ჩაშვებული ლითონი ავტომატურად, ადამიანის ხელშეუხებლად გადის ყველა პროცესს და იქცევა მზა ნაწარმად. ავტომატიზაციის განვითარების მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ უკვე გასულ წელს სსრ კავშირის ელსადგურების სამინისტროს ჰიდროელექტროსადგურების 91 პროცენტი მთლიანად ავტომატიზებული იყო. ყველაფერი ეს სრულიად ახალი, კომუნიზმის ტექნიკის რეალური, ხელშესახები ნიმუშებია.

გმირი საბჭოთა ხალხი უდიდესი შემოქმედებითი ენთუზიაზმით აგებს უმძლავრეს ჰიდროელექტროსადგურებს, გიგანტურ სარწყავ სისტემებს, იმორჩილებს უდაბნოებს, ამარცხებს გვალვას, სახეს უცვლის ბუნებას, ქმნის უხვი და მყარი მოსავლის პირობებს. კომუნიზმის დიადი მშენებლობანი, ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის განხორციელება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის უმნიშვნელოვანესი რგოლია.

ჩვენი პარტია და საბჭოთა სახელმწიფო, ხელმძღვანელობენ რა სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნებით, მტკიცედ წარმართავენ მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებას განუხრელი აღმავლობის გზით და ამრიგად წარმატებით ახორციელებენ კომუნიზმში გადასვლის მომზადების პირველ ძირითად წინასწარ პირობას.

II.

ამხანაგმა სტალინმა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის მომზადების მეორე ძირითადი პირობა განსაზღვრა ასე: „...აუცილებელია კოლმეურნეობებისა და, მაშასადამე, მთელი საზოგადოების სასარგებლოდ განხორციელებული თანდათანობითი გადასვლების გზით საკოლმეურნეო საკუთრება ავიყვანოთ საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე, ხოლო საქონელმიმოქცევა აგრეთვე თანდათანობითი გადასვლების გზით შევცვალოთ პროდუქტგაცვლის სისტემით“... („სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, გვ. 72-73).

რით არის გამოწვეული საკოლმეურნეო საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე ამაღლების აუცილებლობა?

საკოლმეურნეო-ჯგუფური საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრებად გადაქცევა მოასწავებს სოციალისტურ წარმოებითს ურთიერთობათა შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას, ხოლო წარმოებითი ურთიერთობათა შემდგომი სრულყოფა ნაკარნახევია საწარმოო ძალთა განუწყვეტელი განვითარების მოთხოვნილებით.

ჩვენი ახლანდელი წარმოებითი ურთიერთობანი, — წერდა ამხანაგი სტალინი, — სავსებით შეესაბამებიან საწარმოო ძალთა ზრდას და შვიდმილიანი ნაბიჯებით მიჰყავთ ეს ძალები წინ, მაგრამ სოციალიზმშიც საწარმოო ძალები, როგორც საზოგადოებრივი წარმოების ყველაზე უფრო მოძრავი და რევოლუციური ძალები, უდავოდ წინ უსწრებენ წარმოებითს ურთიერთობებს, წარმოებითი ურთიერთობანი ჩამორჩებიან საწარმოო ძალთა განვითარებას და, მაშასადამე, მათ შორის ადგილი აქვს გარკვეულ წინააღმდეგობას. ამრიგად, ეს წინააღმდეგობა არის სრული შესაბამისობის ფარგლებში არსებული წინააღმდეგობა, რაც არ იქცევა დაპირისპირებად, მაგრამ იგი იწვევს საწარმოო ძალთა მძლავრი განვითარების დაბრკოლებას. ამიტომ ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაძლეულ იქნას ეს წინააღმდეგობა. ამისათვის აუცილებელია შემდგომ განვავითაროთ და სრულვყოთ წარმოებითი ურთიერთობანი და შევუხამოთ ისინი საწარმოო ძალთა ზრდას.

ამხანაგი სტალინი მიგვითითებდა, რომ საკოლმეურნეო საკუთრებას და საქონელმიმოქცევას წარმატებით ვიყენებთ სოციალისტური მეურნეობის განვითარებისათვის. მათ უეჭველი სარგებლობა მოაქვთ ჩვენი საზოგადოებისათვის და უახლოეს მომავალშიც მოიტანენ სარგებლობას. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს მოვლენები უკვე ახლაც იწყებენ სოციალისტური საწარმოო ძალების მძლავრი განვითარების დამუხრუჭებას.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა მოითხოვს ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის განხორციელებას, გიგანტური არხების მშენებლობას, მთელი სახალხო მეურნეობის, მაშასადამე, მთელი სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციას. საწარმოო ძალთა განვითარების ასეთი მასშტაბებისა და გაქანებისათვის ვიწროა საკოლმეურნეო საკუთრების ჩარჩოები, იგი სცილდება ამ ჩარჩოებს. ამიტომ აუცილებელია წარმოებითი ურთიერთობათა სრულყოფა და ამაღლება.

საკოლმეურნეო საკუთრების არსებობით გამოწვეულია საქონელმიმოქცევის არსებობა. საკოლმეურნეო საკუთრება და საქონელმიმოქცევა კი დაბრკოლებას უქმნიან იმას, რომ მთელი სახალხო მეურნეობა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობა, მოვიცავთ სახელმწიფო დაგეგმვით. ამხანაგი სტალინი გვაფრთხილებდა, რომ რაც დრო გავა, ეს მოვლენები მით უფრო დაამუხრუჭებენ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა შემდგომ ზრდას. სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლა კი მოითხოვს განუწყვეტლივ და მძლავრად ვითარდებოდეს საწარმოო ძალები, ამიტომ „...ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ლიკვიდაცია ვუყოთ ამ წინააღმდეგობებს იმ გზით, რომ თანდათანობით გადავაქციოთ საკოლმეურნეო საკუთრება საერთო-სახალხო საკუთრებად“. (იქვე, გვ. 74).

მაგრამ რა არის საჭირო ამისათვის?

საკოლმეურნეო საკუთრებას ძირითადად და უმთავრესად შეადგენს საკოლმეურნეო წარმოების პროდუქცია: მარცვლეული, ხორცი, ერბო-კარაქი, ბოსტნეული, ბამბა, ჭარხალი, სელი და ა. შ. კოლმეურნეობები ამ პროდუქციის დიდ ნაწილს განაგებენ სრულიად თავისუფლად, თავიანთი შეხედულებისამებრ, გააქვთ იგი ბაზარზე და ყიდიან, რათა შეიძინონ თავიანთთვის საჭირო საქონელი. ამრიგად, საკოლმეურნეო წარმოების პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი ექცევა საქონელმიმოქცევის სისტემაში, აქედან ამოცანა: „იმისათვის, რომ საკოლმეურნეო საკუთრება საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე ავამაღლოთ, — როგორც ამხანაგი სტალინი მიგვითითებდა, — საჭიროა საკოლმეურნეო წარმოების ნამეტი ამოვრთოთ საქონელმიმოქცევის სისტემიდან და მოვაქციოთ ის სახელმწიფო მრეწველობასა და კოლმეურნეობებს შორის პროდუქტგაცვლის სისტემაში. ამაშია დედაარსი“ (იქვე, გვ. 101).

ამხანაგმა სტალინმა სოფლის მეურნეობის პროდუქტთა „დასაქონლების“ ფაქტში, რასაც ადგილი აქვს ჩვენს ქვეყანაში, დაინახა პროდუქტგაცვლის სისტემის ჩანასახები, საწყისები, და ამ პრაქტიკული გამოცდილების თეორიული განზოგადების საფუძველზე დასახა მისი ფართო სისტემად გავრცელების ამოცანა.

პროდუქტების განაწილების კომუნისტური პრინციპი — მოთხოვნილების მიხედვით განაწილება — გამორიცხავს ყოველგვარ საქონელმიმოქცევას. ამიტომ სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში, თანდათანობით, განსაკუთრებული აჩქარების გარეშე, მაგრამ ქალაქის ნაწარმის დაგროვების კვალობაზე განუხრელად და უყოყმანოდ უნდა შემოვიღოთ პროდუქტგაცვლის ფართო სისტემა, რომელიც მოიცავს სოფლის მეურნეობის ყველა დარგს. პროდუქტგაცვლა ისე უნდა მოვაწყოთ, რომ კოლმეურნეობები თავიანთი პროდუქციისათვის იღებდნენ არა მარტო ფულს, არამედ უმთავრესად მათთვის აუცილებელ ქალაქის ნაწარმს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პროდუქტთა გაცვლა („დასაქონლება“) დიდად ხელსაყრელია კოლმეურნეობებისათვის. ამიტომ ბუნებრივია, რომ საქონელგაცვლის სისტემის პროდუქტგაცვლის სისტემით შეცვლა სავსებით შეესაბამება თვით კოლმეურნეობათა ინტერესებს. აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ სავსებით და მთელი სისრულით არ არის გამოყენებული კოლმეურნეობათა ყველა შინაგანი შესაძლებლობა. ამიტომ თვით საკოლმეურნეო საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე ამაღლებისათვის აუცილებელია კიდევ უფრო განვავითაროთ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა, ყოველმხრივ გავადიდოთ საკოლმეურნეო წარმოების ნაყოფიერება, ვიბრძოლოთ კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის. „ყოველი ღონისძიებით უნდა განვამტკიცოთ საკოლმეურნეო წყობილება, მივაღწიოთ საბჭოთა ქვეყნის ყველა კოლმეურნეობის შემდგომ აღმავლობასა და აყვავებას“ (გ. მალენკოვი).

საკოლმეურნეო საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე ამაღლების უდიდესი მნიშვნელობა ისიც არის, რომ ამით იქმნება გადამწყვეტი პირობა ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების მოსპობისათვის. ამ ამოცანის გადაწყვეტას კი პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, აგრეთვე ცნობილია, რომ სოციალისტური საკუთრების ორი ფორმით არსებობა მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კლასობრივი განსხვავების არსებობის ეკონომიკური საფუძველია. როცა საკოლმეურნეო საკუთრება საერთო-სახალხო საკუთრებად გადაიქცევა და შეიქმნება ერთი ყოვლისმომცველი -საწარმოო სექტორი, ამით მოისპობა კლასობრივი განსხვავების ეკონომიკური საფუძველი. კომუნიზმში აღარ იქნება მუშათა კლასი და გლეხთა კლასი, ყველანი იქნებიან კომუნიზმის აქტიური და შეგნებული მშენებლები. ლენინი ჯერ კიდევ პარტიის X ყრილობაზე მიუთითებდა, რომ კომუნისტურ „...საზოგადოებაში მხოლოდ მწარმოებელი მუშაკები დარჩებიან, მუშები და გლეხები აღარ იქნებიან“. (თხზ., ტ. 32, გვ. 306).

ამრიგად, მეორე ძირითადი პირობის განხორციელებით, ნაცვლად საკუთრების ორი ფორმისა, შეიქმნება ერთიანი საერთო-სახალხო საკუთრება და, მაშასადამე, ნაცვლად ორი ძირითადი საწარმოო სექტორისა იქნება ერთი ყოვლისმომცველი საწარმოო სექტორი, რომელსაც უფლება ექნება განაგოს ქვეყნის მთელი სამომხმარებლო პროდუქცია. გასაგებია, რომ ეს პირობა ერთ-ერთი ძირითადი და აუცილებელი პირობაა პროდუქტთა პირდაპირ — მოთხოვნილების მიხედვით განაწილებაზე გადასვლისათვის.

III.

ამხანაგმა სტალინმა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის მომზადების მესამე ძირიდად პირობად დასახა: „...მივაღწიოთ საზოგადოების ისეთ კულტურულ ზრდას, რომელიც საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფდა მათი ფიზიკური და გონებრივი უნარის ყოველმხრივ განვითარებას, რათა საზოგადოების წევრებს შეესაძლებლობა ჰქონდეთ მიიღონ საკმაო განათლება იმისათვის, რომ გახდნენ საზოგადოებრივი განვითარების აქტიური მოღვაწენი, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ, შრომის არსებული დანაწილების გამო, მთელ სიცოცხლეში მიჯაჭვული კი არ იყვნენ ერთ რომელიმე პროფესიაზე, არამედ თავისუფლად აირჩიონ პროფესია“ („სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, გვ. 74).

კომუნიზმი მოითხოვს არა მარტო მატერიალური დოვლათის სიუხვის შექმნას, არამედ უმაღლეს კულტურასაც. ამიტომ თუ ამხანაგ სტალინის მიერ განსაზღვრული პირველი ორი პირობა გულისხმობს კომუნიზმის ეკონომიკის აგებას, კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, მესამე პირობა უკვე ეხება თვით ადამიანთა ყოველმხრივ მომზადებას საზოგადოებრივი ურთიერთობის უფრო მაღალ, კომუნისტურ ფორმებზე გადასვლისათვის.

რა არის საჭირო კომუნიზმში გადასვლის მომზადების ამ მესამე პირობის განხორციელებისათვის? ამისათვის, როგორც ამხანაგი სტალინი მიგვითითებდა, უწინარეს ყოვლისა საჭიროა სამუშაო დღის შემცირება სულ მცირე 6, შემდეგ კი 5 საათამდეც. სამუშაო დღის შემცირების ხარჯზე, მის შესაბამისად გაიზრდება თავისუფალი დრო, რაც გამოყენებულ იქნება ყოველმხრივი განათლების, მისაღებად, ფიზიკური და სულიერი ძალების სულ უფრო სრულად განვითარებისა და გამოვლინებისათვის. სამუშაო დროის ასეთი საგრძნობი შემცირების პირობას წარმოადგენს საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი განვითარება, შრომის პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვა, შრომის ნაყოფიერების მძლავრი აღმავლობა. ცხადია, ასეთ პირობებში შედარებით ნაკლები შრომის დახარჯვით მიიღება დიდი ეფექტი. კომუნიზმში, როგორც მარქსი შენიშნავდა, „სიმდიდრის საზომი იქნება უკვე არა სამუშაო დრო, არამედ თავისუფალი დრო“. სწორედ აქეთკენ მიემართება ჩვენი საზოგადოების განვითარება.

საზოგადოების წევრთა ყოველმხრივი განვითარებისათვის საჭიროა აგრეთვე შემოღებულ იქნას საყოველთაო-სავალდებულო პოლიტექნიკური სწავლება. პოლიტექნიკური განათლება საშუალებას მისცემს ადამიანს განთავისუფლდეს პროფესიული მიჯაჭვულობისაგან და თავისუფლად აირჩიოს პროფესია.

პოლიტექნიკური პრინციპი, როგორც ლენინი მიუთითებდა, — არ მოითხოვს ყველაფრის სწავლებას, არამედ მოითხოვს თანამედროვე ინდუსტრიის საფუძვლების სწავლებას საერთოდ. თანამედროვე წარმოების ძირითად საფუძვლებს გაცნობილი, ფიზიკური და გონებრივი უნარის მიხედვით ყოველმხრივ განვითარებული ადამიანი, შრომის პროცესების სრული მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პირობებში, ადვილად შეძლებს თავისი ძალები და ნიჭი გამოიყენოს საზოგადოებრივი შრომის იმ სფეროში, რომლისადმიც მას მეტი მიდრეკილება აქვს, და ამრიგად თავი დააღწიოს პროფესიულ მიჯაჭვულობას.

პროფესიული მიჯაჭვულობის მოსპობა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს კომუნიზმის დროს ისპობოდეს შრომის ყოველგვარი დანაწილება და, მაშასადამე, პროფესიები და სპეციალობანი. არა. პროფესიები და სპეციალობანი კომუნიზმშიც იქნება. კომუნისტური საზოგადოება მოითხოვს არა დილეტანტებსა და „ყოვლისმცოდნეებს“, არამედ თავისი საქმის ყოველმხრივ და ღრმად დაუფლებულ ადამიანებს. მაშასადამე, ლაპარაკია არა საერთოდ პროფესიების მოსპობაზე, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე ერთ რომელიმე პროფესიაზე მიჯაჭვულობის მოსპობაზე, ლაპარაკია პროფესიის თავისუფლად არჩევის შესაძლებლობაზე.

პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებით უკვე მეხუთე ხუთწლედში იწყება პოლიტექნიკური სწავლების განხორციელება საშუალო სკოლაში და მიღებულ იქნება ღონისძიებანი საყოველთაო პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასასვლელად.

მესამე ძირითადი პირობის განხორციელებისათვის, როგორც ამხანაგი სტალინი მიგვითითებდა, საჭიროა აგრეთვე ძირფესვიანად გაუმჯობესდეს საბინაო პირობები და მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი გადიდდეს სულ ცოტა ერთიორად, თუ მეტად არა, როგორც ფულადი ხელფასის გადიდების გზით, ისე განსაკუთრებით მასობრივი მოხმარების საგანთა ფასების შემდგომი სისტემატური დაკლების გზით.

პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებით მიმდინარე ხუთწლედში დიდი ნაბიჯები იქნება გადადგმული ამ მიმართულებით. გათვალისწინებულია მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი გაიზარდოს სულ მცირე 35 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავალი სულ მცირე 40 პროცენტით. საბინაო მშენებლობაში წინა ხუთწლედთან შედარებით კაპიტალური დაბანდებანი გაიზრდება დაახლოებით 2-ჯერ. ამრიგად, მიმდინარე ხუთწლედში კიდევ უფრო უმჯობესდება მშრომელთა მატერიალურ-კულტურული ცხოვრების პირობები.

ამხანაგი სტალინი განსაკუთრებით მიგვითითებდა იმაზე, რომ კომუნიზმში გადასვლის მომზადების მხოლოდ ერთად აღებული ყველა ძირითადი პირობის განხორციელების შემდეგ გადაიქცევა შრომა საზოგადოების თვალში მძიმე ტვირთიდან პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად.

შრომა სპეციფიკური ადამიანური თვისებაა. იგი შეგნებული, მიზანშეწონილი, გეგმიანი პროცესია და მასში მონაწილეობას იღებს ადამიანის როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი უნარი. კ. მარქსი წერდა: „...როგორც ბუნებაში თავი და ხელი ერთსა და იმავე ორგანიზმს ეკუთვნის, ისევე შრომის პროცესი აერთიანებს თავისა და ხელის შრომას“ („კაპიტალი“, ტ. I, გვ. 454).

კლასობრივმა საზოგადოებამ დაარღვია შრომის ეს ბუნებრივი ერთიანობა და გათიშა იგი ფიზიკურ და გონებრივ შრომად. კაპიტალიზმმა უკიდურესობამდე მიიყვანა დაპირისპირება ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის. სოციალიზმის გამარჯვების შედეგად ჩვენს ქვეყანაში მოსპობილია დაპირისპირება ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის და ახლა წარმოებს მათ შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაცია. შრომა უკვე ახლაც, სოციალიზმში წარმოადგენს სახელის, დიდების, სიმამაცისა და გმირობის საქმეს, მაგრამ შრომა ჯერ კიდევ არ გადაქცეულა საზოგადოების ყველა წევრისათვის პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად. კომუნისტურ საზოგადოებაში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გაწევის აუცილებლობა ჩვეულებად გადაიქცევა და იგი ადამიანისათვის ისეთივე პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება იქნება, როგორიც არის მისთვის ჰაერი, წყალი და სხვ. კომუნიზმი განახორციელებს შრომის სრულ ბუნებრივ ერთიანობას, „თავისა და ხელის შრომის“ ორგანულ ერთიანობას. ასეთი შრომა ადამიანისათვის სიამოვნება იქნება.

განვითარების ამ ეაფეხურზე — იდეალად მაღალი იქნება ადამიანთა კომუნისტური შეგნებულობა, რომ საზოგადოების ყოველი წევრი საზოგადოებრივ საკუთრებას დაუფასებს როგორც საზოგადოების არსებობის ურყევსა და ხელუხლებელ საფუძველს. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი ასეთი მაღალშეგნებული დამოკიდებულება ციდან არ ვარდება მზამზარეული სახით. საჭიროა მრავალმხრივი და სერიოზული მუშაობა ადამიანთა შეგნებიდან კაპიტალიზმის ნაშთების სავსებით და საბოლოოდ აღმოფხვრისათვის. ამას ემსახურება მასების კომუნისტურად აღზრდა, რასაც ასე გულმოდგინედ და სისტემატურად აწარმოებს ჩვენი დიადი ლენინ — სტალინის პარტია. ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო გავაძლიეროთ მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობა, ავიყვანოთ იგი პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების სიმაღლეზე და ენერგიულად ვიბრძოლოთ კომუნიზმში გადასვლის მესამე ძირითადი წინაპირობის წარმატებით შესრულებისათვის.

* * *

კომუნიზმში გადასვლის მომზადების სამივე ძირითადი პირობა ერთმანეთთან ორგანულ კავშირში იმყოფება. პირველი ძირითადი პირობის განხორციელება ქმნის მატერიალურ საფუძველს მეორე და მესამე პირობის შესრულებისათვის. ცხადია, საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი ზრდის საფუძველზე ხდება საკოლმეურნეო საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე ამაღლება და აგრეთვე შესაძლებელი ხდება საზოგადოების წევრთა ყოველმხრივი კულტურული განვითარება. სწორედ ასევე, მეორე პირობის — საკოლმეურნეო საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრებად გადაქცევის გარეშე შეუძლებელია როგორც პირველი პირობის — საწარმოო ძალთა განუწყვეტელი მძლავრი განვითარების, ისე მესამე პირობის — საზოგადოების წევრთა ყოველმხრივი კულტურული განვითარების განხორციელება. თავის მხრივ მესამე პირობა — საზოგადოების წევრთა ფიზიკური და გონებრივი უნარის ყოველმხრივ განვითარება წარმოადგენს როგორც პირველი პირობის — საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი მძლავრი განვითარების, ისე მეორე პირობის — საკოლმეურნეო საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე ამაღლების აუცილებელ პირობას. ამასთან ეს ურთიერთგანპირობებულობა იმას ნიშნავს, რომ ამ სამი ძირითადი წინასწარი პირობის განხორციელება მიმდინარეობს არა ერთმანეთისაგან განცალკევებით და ერთმანეთის შემდეგ, არამედ ურთიერთთან ორგანულ კავშირში და ერთდროულად და მხოლოდ ერთად აღებული ყველა ამ ძირითადი პირობის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება სოციალისტური ფორმულიდან „თვითეულისაგან — უნარის მიხედვით, თვითეულს — შრომის მიხედვით“, გადავიდეთ კომუნისტურ ფორმულაზე „თვითეულისაგან — უნარის მიხედვით, თვითეულს — მოთხოვნილების მიხედვით“. ეს იქნება სრული კომუნისტური საზოგადოება.

მუდამ უნდა გვახსოვდეს და ერთი წუთითაც არ ვივიწყებდეთ ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ი. ბ. სტალინის მითითებას იმის შესახებ, რომ კომუნისტურ საზოგადოებას ვაშენებთ კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში და რომ ამიტომ საჭიროა მუდამ ფხიზლად ვიყოთ და სულ უფრო ავამაღლოთ თვითეული ჩვენგანის რევოლუციური სიფხიზლე, ყოველმხრივ განვამტკიცოთ სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც წარმოადგენს კომუნიზმის აშენების მთავარ იარაღს.

დიდმა სტალინმა დაგვიტოვა უმდიდრესი და უძვირფასესი იდეური მემკვიდრეობა — მეცნიერულად ყოველმხრივ დამუშავებული და დასაბუთებული ნათელი პროგრამა კომუნიზმის მშენებლობისა ჩვენს ქვეყანაში. როგორც ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა თქვა თავის მოხსენებაში პარტიის XIX ყრილობაზე, „...პარტიის გეგმები, მომავლისათვის, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი წინსვლის პერსპექტივებსა და გზებს, ემყარება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მეცნიერებას, რომელიც ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა“.

კომუნიზმის მშენებლობის ყოვლისმძლე სტალინური მეცნიერებით შეიარაღებული ლენინ — სტალინის პარტია წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას.

საბჭოთა ხალხი ღრმად დარწმუნებულია, რომ პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა მტკიცე და საიმედო ხელშია, რომ ლენინ — სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით იქნება განხორციელებული დიდი სტალინის ანდერძი — აშენებული იქნება კომუნიზმის დიადი შენობა — ვრცელი, სინათლითა და მზის სხივებით სავსე ახალი შენობა.

ეს იქნება დიდი სტალინის სამარადისო დიდების მუდმივი ძეგლი.

ვ. ესაიაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტს

იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს უცხადებს იტალიის კომუნისტების, მშრომელებისა და მთელი ხალხის დიდ სამძიმარს მთელი პროგრესული კაცობრიობის ერთგული ბელადის ამხანაგ სტალინის გარდაცვალების გამო. იტალიის მუშათა კლასი და იტალიელი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებენ, რომ ჩვენი განთავისუფლების გზაზე გადამწყვეტ გამარჯვებებს . უნდა ვუმადლოდეთ სტალინის მოძღვრებასა და მოღვაწეობას.

ლენინთან ერთად ამხანაგმა სტალინმა მიიყვანა ხალხი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე, საძირკველი ჩაუყარა სოციალისტურ სახელმწიფოს, ყველა მტრისაგან იცავდა და განამტკიცებდა ამ სახელმწიფოს, ააშენა სოციალიზმი საბჭოთა კავშირში, აღმოაჩინა და გვიჩვენა კომუნიზმში გადასვლის გზა. ყველა ამ დიდმა გამარჯვებამ გზა გაგვინათა და წინსვლის საშუალება მოგვცა როგორც ჩვენ, ისე მთელი მსოფლიოს ხალხებს.

ფაშისტური რეაქციის მძიმე წლებში ი. ბ. სტალინის მოძღვრება, სოციალიზმის მშენებლობისა და დაცვის მისი პოლიტიკის უმაგალითო წარმატებანი იტალიელი ხალხისათვის იყო ფაშიზმისაგან, სიღატაკისა და ჩაგვრისაგან განთავისუფლების კონკრეტული გარანტია. ლენინისა და სტალინის სახელით მრავალი ათასი იტალიელი კომუნისტი და ანტიფაშისტი მტკიცედ იტანდა პატიმრობას, დევნას და სწირავდა თავს იმ რწმენით, რომ მათი მსხვერპლი ამაო არ იქნებოდა. სამართლიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის დროს იტალიელი ხალხის (საუკეთესო შვილებმა, ჩვენმა სახელოვანმა პარტიზანებმა, თავისუფლებისათვის მებრძოლებმა, რომლებსაც დიდი სტალინის მოძღვრება და შაგალითი აღაფრთოვანებდა, ხელში აიღეს იარაღი, რათა იტალიის მიწაწყლიდან განედევნათ დამპყრობლები, ლაფი მოეშორებინათ საშობლოს დროშისათვის.

დიდი სტალინის ნათელმა მაგალითმა, მოძღვრებამ და მოღვაწეობამ ადამიანებს დაუსახა პერსპექტივა ახალი საზოგადოებისა, რომელიც ემყარება ხალხთა თავისუფლებას, სამართლიანობასა და მშვიდობას, საზოგადოებისა, რომელიც ისტორიაში ჯერ კიდევ არასოდეს ყოფილა. ამით შთაგონებულია და ხელმძღვანელობს იტალიელი ხალხი ექსპლოატაციის, უმეცრებისა და შიშისაგან თავისუფალი უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში.

სტალინი გვასწავლიდა, რომ სწორედ კომუნისტებმა და დემოკრატებმა უნდა აღმართონ და წინ წაიღონ დემოკრატიულ თავისუფლებათა დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის დროშა, რომელიც რეაქციულმა ბურჟუაზიამ გადააგდო. სტალინი გვასწავლიდა, რომ მშვიდობის დაცვა მუშათა კლასისა და მთელი მსოფლიოს მშრომელების მთავარი ამოცანაა. სტალინი გვასწავლიდა, რომ კომუნისტების ძალა, დარაზმულობა, იდეოლოგიური, პოლიტიკური და ორგანიზაციული ერთიანობა მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა წინაშე მდგომი ისტორიული ამოცანების განხორციელების მთავარი იარაღია.

ჩვენ ამ ანდერძის ერთგული ვიქნებით, მტკიცედ გვჯერა, რომ დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და ეროვნული სუვერენიტეტისათვის ჩვენი ბრძოლის წარმატება უზრუნველყოფილია უწინარეს ყოვლისა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს არსებობით, საბჭოთა კავშირის ურყევი ძალით.

ჩვენ სულ უფრო მეტად განვამტკიცებთ ჩვენს პარტიასა და მის ერთიანობას, განვამტკიცებთ და გავაფართოებთ მის კავშირს ხალხის მასებთან. ვალდებულებას ვკისრულობთ მუდამ დავიცვათ ერთგულება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებისადმი, გავაღრმაოთ და გავაგრცელოთ ჩვენს რიგებში მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის უძლეველი თეორიის ცოდნა.

იტალიელი კომუნისტები, რომლებიც ღრმად დარწმუნებული არიან, რომ საბჭოთა კავშირის ინტერესები განუყოფელია ხალხთა მშვიდობისა და დამოუკიდებლობის საქმისაგან, კვლავ ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებას — შეაჩერონ ომის იმპერიალისტი გამჩაღებლები და ყველანი, ვინც კი გაბედავს კვლავ დაადგეს აგრესიის გზას, გამოვიდეს საბჭოთა კავშირის ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. დაე გაიფანტოს ომის იმპერიალისტი გამჩაღებლებისა და ჩვენს ქვეყანაში მათი დამქაშების ილუზიები. იტალიელი ხალხი არასოდეს არ იომებს საბჭოთა კავშირის, სოციალიზმის ქვეყნის, ლენინ — სტალინის ქვეყნის ხალხთა წინააღმდეგ.

დაე საუკუნეებში ცოცხლობდეს კაცობრიობის განთავისუფლებისა და პროგრესისათვის ბრძოლაში ბელადის და მასწავლებლის — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის სახელი!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს იტალიელი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხების ურღვევ მეგობრობას!

იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ამხანაგ სტალინის გარდაცვალებით თავზარდაცემულნი. ულრმეს მწუხარებას გამოვთქვამთ, ვხრით სამგლოვიარო დროშებს დიდი სტალინის კუბოსთან. კაცობრიობამ დაკარგა თავისი უდიდესი გენიოსი, საერთაშორისო პროლეტარიატმა — უდიდესი მეგობარი და მასწავლებელი. დავტირით კომუნიზმის დიდ შემოქმედს, დავტირით ადამიანს, ვისი ხელმძღვანელობითაც საბჭოთა კავშირში გაიმარჯვა სოციალიზმმა, კაცობრიობა გადაურჩა ფაშიზმის ბარბაროსობას, საბჭოთა კავშირის ხალხები დაადგნენ კომუნიზმის გზას. ჩვენ ვგლოვობთ ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიების დიდ მასწავლებელსა და ბელადს, რომელმაც შექმნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ნიმუში ყველა სხვა კომუნისტური პარტიებისათვის, რომელმაც თავისი გენიალური ნაწარმოებებით გაამდიდრა და შემოქმედებითად განავითარა მარქსიზმ-ლენინიზმი.

არასოდეს არ დავივიწყებთ ამხანაგ სტალინის სიტყვებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირისადმი დამოკიდებულება განსაზღვრავს ყოველი პატიოსანი სოციალისტის, ყოველი ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტის სახეს და რომ საბჭოთა კავშირის ინტერესები განუყოფლად დაკავშირებულია მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმესთან. ჩვენ მუდამ ვიმოქმედებთ ი. ბ. სტალინის იმ მითითების შესაბამისად, რომ მშვიდობა შეიძლება შენარჩუნებულ იქნას, თუ ხალხები ბოლომდე დაიცავენ მშვიდობის საქმეს.

ავსტრიელი კომუნისტები ფიცს დებენ დაიცვან ურღვევი ერთგულება ლენინ — სტალინის დიადი პარტიისადმი, საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიისადმი, რომელიც სათავეში უდგას ყველა ხალხის ბრძოლას მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და პროგრესისათვის. ავსტრიელი კომუნისტები ამხანაგ სტალინის კუბოსთან ფიცს დებენ, რომ მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დროშით მთელ თავიანთ ძალებს, აგრეთვე სიცოცხლესაც მოახმარენ იმ მიზნის მიღწევას, რომელიც ი. ბ სტალინმა დაგვისახა.

ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ამხანაგ სტალინის გარდაცვალებით თავზარდაცემულნი. ულრმეს მწუხარებას გამოვთქვამთ, ვხრით სამგლოვიარო დროშებს დიდი სტალინის კუბოსთან. კაცობრიობამ დაკარგა თავისი უდიდესი გენიოსი, საერთაშორისო პროლეტარიატმა — უდიდესი მეგობარი და მასწავლებელი. დავტირით კომუნიზმის დიდ შემოქმედს, დავტირით ადამიანს, ვისი ხელმძღვანელობითაც საბჭოთა კავშირში გაიმარჯვა სოციალიზმმა, კაცობრიობა გადაურჩა ფაშიზმის ბარბაროსობას, საბჭოთა კავშირის ხალხები დაადგნენ კომუნიზმის გზას. ჩვენ ვგლოვობთ ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიების დიდ მასწავლებელსა და ბელადს, რომელმაც შექმნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ნიმუში ყველა სხვა კომუნისტური პარტიებისათვის, რომელმაც თავისი გენიალური ნაწარმოებებით გაამდიდრა და შემოქმედებითად განავითარა მარქსიზმ-ლენინიზმი.

ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საზღვარგარეთის სახელმწიფოთა პარლამენტების სამძიმარი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის გარდაცვალების გამო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის გარდაცვალების გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელზე მიღებულია ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრების, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების, ინდოეთის სახალხო პალატის, ფინეთის სეიმის, ნორვეგიის პარლამენტის პრეზიდიუმის, იტალიის რესპუბლიკის დეპუტატთა პალატის, იტალიის რესპუბლიკის სენატისა და ლუქსემბურგის პარლამენტის სამძიმარი. (საკდესი).

საზღვარგარეთის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სამძიმარი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის გარდაცვალების გამო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბ. ბ. სტალინის გარდაცვალების გამო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს უშუალოდ ან სსრ კავშირის საზღვარგარეთის საელჩოებისა და მისიების საშუალებით სამძიმარი გამოუცხადეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთის, ფინეთის, ბირმის, მექსიკის, არგენტინის, ინდონეზიის, ირანის, ავღანეთის, იტალიის, ლიბანის, იემენის, ბოლივიის, ლუქსემბურგის, ურუგვაის, ისლანდიის, თურქეთის, დანიის, ნორვეგიის, ავსტრიის, ეთიოპიის, ტაილანდის, ლიბიისა და ლიბერიის საგარეო საქმეთა მინისტრებმა. (საკდესი).

მთავრობის ცნობა

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის კლემენტ გოტვალდის ავადმყოფობის შესახებ

პრაღა, 13 მარტი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის პრეზიდიუმის ცნობას, რომელშიც ნათქვამია:

12 მარტს დილით რესპუბლიკის პრეზიდენტი ამხანაგი კლემენტ გოტვალდი ავად გახდა მძიმე ფორმის ფილტვების ანთებითა და პლევრიტით. ტემპერატურა საღამოს ჰქონდა 37,7 გრადუსი, მაჯისცემა 108 წუთში, სისხლის წნევა: მაქსიმალური 120 და მინიმალური 80. ამხანაგ კლემენტ გოტვალდის სამკურნალოდ მიღებულ იქნა და ხორციელდება ყველა საჭირო ღონისძიება.

ბიულეტენს ხელს აწერენ პრეზიდენტის მკურნალი ექიმები.

რესპუბლიკის პრეზიდენტის — ამხანაგ კლემენტ გოტვალდის ავადმყოფობის ამბავი ღამე ეცნობა პარტიის პრეზიდიუმს და მთავრობას, რომლებიც დიდ ყურადღებას აქცევენ ავადმყოფობის მკურნალობასა და მიმდინარეობას.

ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მკურნალობის მიმდინარეობის შესახებ გამოქვეყნდება სამედიცინო ბიულეტენები.

მსოფლიოს ხალხები ფიცს დებენ განაგრძონ დიდი სტალინის საქმე

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

პეკინი, 10 მარტი. (საკდესი). 9 მარტს — დიდი სტალინის დაკრძალვის დღეს მთელ ჩინეთში გაიმართა სამგლოვიარო მიტინგები. როგორც დღეს გაზეთი „ჟენმინჟიბაო“ იუწყება, ტიანძინში, სამგლოვიარო მიტინგს დაესწრო 40 ათასი კაცი, შუკდენში — 120 ათასამდე კაცი, უხანში — 200 ათასი კაცი, კანტონში — 460 ათასი კაცი, სიანში — 300 ათასზე მეტი კაცი, დიხუაში — 100 ათასზე მეტი კაცი, ხარბინში — 400 ათასამდე კაცი.

ამ გლოვის დღეებში ჩინეთის ყოველი კუთხიდან მოდის ცნობები, რომ მუშები და გლეხები, ჩინეთის ყველა მშრომელი საქვეყნო ფიცს დებენ კიდევ უფრო განამტკიცონ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის დიდ ხალხთა ურღვევი მეგობრობა, კიდევ უფრო ფართოდ აითვისონ და დანერგონ საბჭოთა გამოცდილება, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმონ თავიანთი რიგები ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და თავმჯდომარე მაო ძე-დუნის გარშემო იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ, მშვიდობის საქმისათვის ბრძოლაში, ახალი ჩინეთის მშენებლობისათვის ბრძოლაში.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 10 მარტი. (საკდესი). დღეს ჩეხოსლოვაკიის ყველა გაზეთი მიძღვნილია იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაკრძალვისადმი.

გაზეთებმა მთლიანად გამოაქვეყნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. მ. მალენკოვისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეების ლ. პ. ბერიას და ვ. მ. მოლოტოვის სიტყვები სამგლოვიარო მიტინგზე მოსკოვში, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის ხალხის ფიცი ამხანაგ ი. ბ. სტალინის ანდერძისადმი ერთგულების შესახებ.

200 ათასამდე მშრომელი შეიკრიბა გუშინ ბრნოში სამგლოვიარო მიტინგზე, რათა გამოთხოვებოდა საყვარელ სტალინს, ვის სახელთანაც დაკავშირებულია სახალხო-დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა განთავისუფლება და ბედნიერი ცხოვრება.

...ი. ბ. სტალინის მონუმენტთან ყოველ თხუთმეტ წუთში ცვლიან ერთმანეთს საპატიო ყარაულში ჩეხოსლოვაკიის არმიის მეომრები, მუშები, სახალხო მილიციის წევრები, ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირის წევრები. მშრომელთა დელეგაციები გვირგვინებით და ყვავილებით ამკობენ მონუმენტს.

გუშინ მთელ სლოვაკიაში გაისმა ფიცის სიტყვები: „მშობლიური კომუნისტური პარტიისა და ამხანაგ გოტვალდის ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირთან ურღვევი კავშირით ვიგლით სტალინის გზით როგორც მებრძოლნი უკეთესი, ბედნიერი, უომებო ცხოვრებისათვის, როგორც სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის მებრძოლნი“.

პოლონეთი

ვარშავა, 10 მარტი. (საკდესი). ვრცელი სათაურით: „ეთხოვება რა დიდ სტალინს, მთელი პროგრესული კაცობრიობა ფიცს დებს იყოს მისი უკვდავი იდეების ერთგული“, გაზეთი „ტრიბუნა ლიუდუ“ პირველ გვერდზე აქვეყნებს მოსკოვიდან მიღებულ დაწვრილებითს ცნობას კაცობრიობის უდიდესი გენიოსის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაკრძალვის შესახებ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის გ. მ. მალენკოვის სიტყვას. აგრეთვე ლ. პ. ბერიას და ვ. მ. მოლოტოვის სიტყვებს სამგლოვიარო მიტინგზე მოსკოვში წითელ მოედანზე.

გულგარეთი

სოფია, 10 მარტი. (საკდესი). ბულგარეთის დღევანდელი გაზეთები პირველ გვერდზე აქვეყნებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის გ. მ. მალენკოვის სიტყვას სამგლოვიარო მიტინგზე მოსკოვში წითელ მოედანზე. გაზეთებმა მოათავსეს აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეების ლ. პ. ბერიასა და ვ. მ. მოლოტოვის სიტყვები.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 10 მარტი. (საკდესი). ყველა დღევანდელი გაზეთი მიძღვნილია ი. ბ. სტალინის ხსოვნისადმი. გაზეთებმა გამოაქვეყნეს ამხანაგების გ. მ. მალენკოვის, ლ. პ. ბერიას და ვ. მ. მოლოტოვის სიტყვები სამგლოვიარო მიტინგზე წითელ მოედანზე.

მოწინავე სტატიაში გაზეთი „საბად ნეპი“ წერს: სტალინი აღარა გვყავს, მაგრამ ცოცხლობენ ძლევამოსილი საბჭოთა კავშირი, მისი სახელოვანი კომუნისტური პარტია. სტალინი აღარა გვყავს, მაგრამ მისი მოწაფეების, მისი ერთგული მებრძოლი ამხანაგების გარშემო, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მჭიდროდ ირაზმება სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების უზარმაზარი ბანაკი.

რუმინეთი

ბუქარესტი, 10 მარტი. (საკდესი). რუმინეთის დღევანდელი გაზეთები მიძღვნილია იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაკრძალვისადმი. გაზეთები ათავსებენ ანგარიშს წითელ მოედანზე გამართული სამგლოვიარო მიტინგის შესახებ და აქვეყნებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. მ. მალენკოვის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეების ლ. პ. ბერიას და ვ. მ. მოლოტოვის სიტყვებს. გაზეთმა „სკინტეიამ“ გამოაქვეყნა თავისი მოსკოველი კორესპონდენტის ცნობა: „ლენინისა და სტალინის მაგზოლეუმი“.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში მილიონობით მშრომელმა მიიღო მონაწილეობა სამგლოვიარო მიტინგებში, რომლებიც გუშინ მთელ რუმინეთში გაიმართა.

ქალაქში, რომელიც რუმინელი ხალხის ყველაზე საყვარელი მეგობრისა და მამის — სტალინის სახელს ატარებს, ამხანაგ ი. ბ. სტალინის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგს 100 ათასამდე კაცი დაესწრო.

ალბანეთი

ტირანა, 10 მარტი. (საკდესი). გუშინ საბჭოთა ხალხთან ერთად ალბანელი ხალხი ეთხოვებოდა თავის მეგობარსა და დამცველს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალურ მასწავლებელსა და ბელადს ი. ბ. სტალინს. ამ დღეს ალბანელ მშრომელთა გრძნობა და ფიქრი მიმართული იყო მოსკოვისაკენ, წითელი მოედნისაკენ, სადაც მოხდა ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაკრძალვა.

ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში, კორჩაში, შკოდერში, დურესში, გიროკასტრსა და სხვა ქალაქებში გაიმართა მშრომელთა სამგლოვიარო მიტინგები. 10 საათზე ადგილობრივი დროით ალბანეთი ხუთი წუთით გაირინდა, რათა დუმილით ეცა პატივი ი. ბ. სტალინის ხსოვნისათვის. შეწყდა მუშაობა საწარმოებში, დაწესებულებებში, გაისმა არტილერიისა და თოფის სალუტები, ფაბრიკების, ქარხნების, ორთქლმავალთა საყვირების ხმები.

ალბანეთის ყველა მშრომელი რადიოთი ისმენდა თავისი ბელადის ენვერ ხოჯას ფიცს ამხანაგ სტალინისადმი, რაც მან წარმოთქვა სამგლოვიარო მიტინგზე ტირანაში. სამგლოვიარო მიტინგებზე, რომლებიც გაიმართა ქალაქებში ი. ბ. სტალინის მონუმენტებთან, კრებებზე მუშათა ცენტრებში, სოფლებში ათასობით მუშა, გლეხი, მოსამსახურე ქალი და კაცი ისმენდა ფიცის სიტყვებს, ღრმა გლოვის და დიდი სტალინისადმი პატივისცემის ნიშნად მუხლმოდრეკილი. ალბანელმა ხალხმა ფიცი დადო ბოლომდე ერთგული იყოს ლენინ — სტალინის უკვდავი საქმისა და სახელოვანი საბჭოთა კავშირისა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

ბერლინი, 10 მარტი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა გუშინ ღრმად დამგლოვიარებული გამოეთხოვა გერმანელი ხალხის საუკეთესო მეგობარს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

ლაიპციგში კარლ მარქსის მოედანზე იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დიდი პორტრეტის წინ დასრულებელ ნაკადად სამგლოვიარო დუმილით ქუდმოხდილი მიდიოდნენ ქალაქის მცხოვრებნი, გვირგვინებით და თაიგულებით ამკობდნენ კვარცხლბეკს, რომელზეც დადგმული იყო პორტრეტი.

პოტსდამის მცხოვრებლებმა, სადაც 1945 წელს დიდი სახელმწიფოების კონფერენციაზე იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა მოითხოვა ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული გერმანიის შექმნა, გუშინ საქვეყნოდ დადეს პირობა მთელი ძალღონით განაგრძონ ბრძოლა ამ მიზნის განხორციელებისათვის.

სახლს, რომელშიც ამხანაგი ი. ბ. სტალინი ცხოვრობდა პოტსდამის კონფერენციის დროს, გაუკეთეს მემორიალური დაფა.

ქალაქ ეისლებენის მშრომელნი გუშინ შეიკრიბნენ ქალაქის მოედანზე ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძეგლთან, რომლის გვერდით დადგმული იყო იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის პორტრეტი. გამოეთხოვნენ რა დიდ ბელადს, ქალაქის მცხოვრებლებმა საქვეყნოდ დადეს პირობა კიდევ უფრო აქტიურად განაგრძონ ბრძოლა მშვიდობისათვის, ერთიანობისა და სოციალიზმისათვის.

ერფურტის 100 ათასზე მეტმა მოქალაქემ სამგლოვიარო დუმილით ჩაუარა გუშინ კაცობრიობის უკვდავი გენიოსის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის პორტრეტს.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა

ულან-ბატორი, 10 მარტი. (საკდესი). მონღოლეთის ყველა გაზეთი ბეჭდავს ცნობებს ი. ბ. სტალინის დაკრძალვის შესახებ, აგრეთვე მოსკოვში წითელ მოედანზე გამართული სამგლოვიარო მიტინგის დროს ამხანაგების გ. მ. მალენკოვის, ლ. პ. ბერიას და ვ. მ. მოლოტოვის მიერ წარმოთქმული სიტყვების ტექსტს.

საწარმო-დაწესებულებებში, სასწავლებლებში, ჯარის ნაწილებსა და არატ-მესაქონლეთა სოფლების წითელ კუთხეებში შექმნილია სტალინის კუთხეები, სადაც მნახველნი ეცნობიან იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გმირულ ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა

ფხენიანი, 10 მარტი. (საკდესი). კორეელი ხალხი გლოვობს თავისი ბელადის, მასწავლებლისა და მეგობრის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალებას. სამგლოვიარო მიტინგები იმართება ყველგან — ფხენიანში, შორეულ ჩრდილოეთ პროვინცია ტიაგანში, იაპონიის ზღვის სანაპიროზე, სახალხო არმიის ფრონტის ნაწილებში.

...სამგლოვიარო მიტინგი საწარმოში, რომელსაც ხელმძღვანელობს ხან ტე ჯენი. მგლოვიარედ გარინდებული დგას ასობით მუშა და მოსამსახურე იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის პორტრეტის წინ. პარტორგი კიმ კენ დუ კითხულობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვას, აგრეთვე კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის მიმართვას შრომის პარტიის ყველა წევრისადმი, მთელი კორეელი ხალხისადმი.

გლოვის სიტყვებს წარმოთქვამენ მუშა იუნ ჯენ ხენი, მოსამსახურე ლიმ ენ იუნი და სხვები. ისინი ფიცსა დებენ ბოლომდე იბრძოლონ იმ საქმისათვის, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა დიდმა სტალინმა.

ფრონტის გაზეთებმა გამოუშვეს გენერალისიმუს სტალინის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი სპეციალური სამგლოვიარო ნომრები. სანგრებსა და ბლინდაჟებში გაკრულია ლოზუნგები: „სტალინის უკვდავი სახელი მარად იცოცხლებს მთელი კორეელი ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის გულში“.

ინგლისი

ლონდონი, 10 მარტი. (საკდესი). 9 მარტს ლონდონელებმა თავიანთი სიყვარული და პატივისცემა ამხანაგ სტალინის ხსოვნისადმი ცხადყვეს კომპარტიის ლონდონის საოლქო ორგანიზაციის მიერ მოწყობილ ორ სამგლოვიარო მიტინგზე. მიტინგზე გამოსულებმა ილაპარაკეს მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი ბელადის შესანიშნავი ცხოვრების შესახებ და ვალდებულება იკისრეს ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი იმ მიზნების მიღწევას, რომლებსაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა სტალინმა.

როგორც პრეს ასოშიეიშნის სააგენტო იუწყება, დარბაზმა გლაზგოში, სადაც 9 მარტს გაიმართა ამხანაგ ი. ბ. სტალინის ხსოვნის სამგლოვიარო მიტინგი, ვერ დაიტია მიტინგში მონაწილეობის მიღების ყველა მსურველი და ამიტომ მოეწყო ორი დამატებითი მიტინგი. ათასზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა ამ მიტინგებში. მთავარი ორატორი იყო კომპარტიის აღმასკომის თავმჯდომარე უილიამ გალაჰერი.

საფრანგეთი

პარიზი, 10 მარტი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტემ“ დღევანდელ ნომერში გამოაქვეყნა თავისი მოსკოველი მუდმივი კორესპონდენტის დაწვრილებითი ანგარიში ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაკრძალვის შესახებ და დაბეჭდა ამხანაგების გ. მ. მალენკოვის, ლ. პ. ბერიას და ვ. მ. მოლოტოვის სიტყვების სრული ტექსტი.

გუშინ მოსკოვის წითელ მოედანზე ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაკრძალვის მომენტში საფრანგეთის ყველა ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში მშრომელებმა მუშაობა შეწყვიტეს და დუმილით სცეს პატივი მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი ბელადის ხსოვნას.

„ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოსადმი შრომის საყოველთაო კონფედერაციის დაპატიმრებული გენერალური მდივნის ალენ ლე	apის წერილის ტექსტი.

„სტალინის მოძღვრება, — ნათქვამია წერილში, — უაღრესად ძვირფასია ფრანგი მშრომელებისათვის. მადლიერებასა და უაღრეს პატივისცემასთან ერთად, გულში ჩავინერგავთ რა იმ დიადი საქმის ხსოვნას, რომელსაც მან მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა, ამ უდიდესი გლოვის დღეს ვალდებულებას ვკისრულობთ მტკიცედ და უყოყმანოდ ვიბრძოლოთ თავისუფლებისათვის, მშვიდობისათვის, ხალხთა განთავისუფლებისათვის, საყოველთაო ბედნიერებისა და აყვავების ახალი ხანისათვის.

კიდევ უფრო დავუახლოვდებით საბჭოთა მშრომელებს საერთო საქმისათვის ერთობლივ ბრძოლაში“.

ამ დღეებში დილიდან გვიან საღამომდე სსრ კავშირის საფრანგეთის საელჩოში კვლავ განუწყვეტელ ნაკადად მოდიან ფრანგ მშრომელთა დელეგაციები, რომლებიც სამძიმარს უცხადებენ საბჭოთა კავშირის მთავრობასა და კომუნისტურ პარტიას, და ხაზგასმით აღნიშნავენ თავიანთ ურღვევ სოლიდარობას საბჭოთა ხალხისადმი. დღემდე საელჩოში უკვე ათასამდე დელეგაცია მოვიდა.

საელჩოში მოვიდა აგრეთვე რამდენიმე ათასი წერილი და დეპეშა საფრანგეთისა და მისი კოლონიების ყველა რაიონიდან.

იტალია

რომი, 10 მარტი. (საკდესი). ყველა გაზეთი აქვეყნებს მოსკოვიდან მიღებულ ვრცელ ცნობებს ი. ბ. სტალინის დაკრძალვის შესახებ. დემოკრატიულმა პრესამ გამოაქვეყნა ამხანაგების გ. მ. მალენკოვის, ლ. პ. ბერიას და ვ. მ. მოლოტოვის სიტყვების ტექსტი.

გაზეთები ბეჭდავენ აგრეთვე დაწვრილებით ცნობებს იტალიაში გამართული სამგლოვიარო მიტინგების და ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაკრძალვის მომენტში მუშაობის შეწყვეტის შესახებ.

გუშინ რომის თეატრ „ვალეში“ გაიმართა იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ღია სამგლოვიარო სხდომა, მიძღვნილი ამხანაგ ი. ბ. სტალინის ხსოვნისადმი.

იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მოადგილემ პიეტრო სეკიამ ყველა დამსწრეს მოუწოდა მიემართათ გულისყური მოსკოვისაკენ, სადაც, ამ კრების გახსნის მომენტში, ხდებოდა ამხანაგ სტალინის დაკრძალვა.

სხდომის მონაწილეებმა ფეხზე ადგომით სცეს პატივი ი. ბ. სტალინის ხსოვნას. შემდეგ სიტყვა წარმოთქვა იტალიის კომპარტიის გენერალური მდივნის მოადგილემ ლუიჯი ლონგომ.

შვეიცარია

სტოკჰოლმი, 10 მარტი. (საკდესი). გუშინ სტოკჰოლმში, მოქალაქის სახლში გაიმართა შვეიცარიის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა სამგლოვიარო კრება, რომელიც იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების გამო მოწვეულ იქნა სტოკჰოლმის კომუნისტური ორგანიზაციის ინიციატივით. სცენაზე იყო სამგლოვიარო ლენტებსა და წითელ დროშებში ჩასმული ი. ბ. სტალინის დიდი პორტრეტი.

სიტყვები წარმოთქვეს შვეიცარიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა კ. ხ. ხერმასონმა და სტოკჰოლმის კომუნისტური ორგანიზაციის მდივანმა ფრიტიოფ ლაგერმა.

ხერმასონმა ამხანაგი სტალინი დაახასიათა როგორც გენიალური თეორეტიკოსი და მარქს — ენგელს — ლენინის მოძღვრების დიდი განმგრძობი. იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა ფასდაუდებელი იდეური მემკვიდრეობა დაგვიტოვა, თქვა ხერმასონმა